სამშაბათი, 1918 წ. ქრისტეშობისთვის 10 № 236

წლიწადი მეოთხე

სამშაბათი. 1918 წ. ქრისტეშობისთვის 10 № 236

ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 60 კაპ.

# საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

კონტორა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მან. უკანასკნელზე—80 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

## უკანასკნელი ცნობები

ბერლინში ბოლშევიკური გამოსვლები მოხდა.

მოკავშირეთა ჯარი რეინისკენ წინსვლას განაგრძობს.

ინგლისის ფლოტმა ქ. რეველი დაიპყრო.

ოსმალეთის სამხედრო გემები მოკავშირეთა ხელში გადავიდა.

დანიასთან ხელშეკრულობის თანახმად ისლანდია დამოუკიდებლად გამოცხადდა.

პრეზიდენტმა ვილსონმა კონგრესის გახსნისას იმედი გამოსთქვა, რომ ზავი გაზაფხულზე უეჭველად შეიკვრება.

ჩერჩილის განცხადებით ბრიტანიის წარმომადგენლები საზავო კონფერენციაზე სრულიად ევროპის რეკრუტის სისტემის გაუქმებას მოითხოვენ.

უნგრეთის ჯარმა სლავინთა ოლქები დასტოვა.

მოსკოვში კოოპერაციის მუშათა ყრილობა გაიხსნა.

გერმანელ ჯ.-კ—თა საბჭოს პრეზიდიუმმა ინახულა ნოე ჟორდანია და მადლობა გადასცა ქართველ ხალხის მათდამი მეგობრულ დამოკიდებულებაზე.

---

გულმოკლულნი მშობლები: პარასკევა და იოსებ, ბებია ნინო, დები: მანიკო და თიკო და ძმა ირაკლი ბოძაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 12 ქრისტეშობისთვეს, თელავში იქნება გადახდილი წირვა და პანაშვიდი მათი ძვირფასის მეოთხე კლასის მოწაფის

### თამრო ბოძაშვილის

სულის მოსახსენებლად.

წირვა იქნება გადახდილი ღვთაების ეკლესიაში, პანაშვიდი კი ქალაქის სასაფლაოზე მის საფლავზე. 3—1923—3

---

გულმოკლულნი: დედა ქვრივი პოლკოვნიკის ალექსანდრა ილიას ასული გვახარიასი, შვილებით: იოსებ ვლადიმერის ძე მეუღლით, ევგენია დიმიტრის ასული გვახარია, ნინა ვლადიმერის ასული დონჯაშვილისა, მეუღლით იოსებ მიხეილის ძე გიორგით და დეიდა-მამიდებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ 10 ქრისტეშობისთვეს, სამშაბათს,

### ელისაბედ ვლადიმერის ასულის მახარობლიძის (გვახარია)

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დიდუბის ეკლესიაში. 1934 1—1

---

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ბარბარე იოსების ასული, შვილები მარიამ, მიშა და გოგია ჩუტკერაშვილები, დედა გარდაცვალებულისა, სიმამრი მღვდელი იოსები, მეუღლე მისი ევდუსია და შვილები ნადეჟდა, მარიამ, ქრისტეფორე და ირაკლი კაპანაძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ 6 ქრისტეშობისთვეს, საღამოს 8 ს. არამიანცის სახელობის საავადმყოფოში უდროოდ, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა მღვდელი

### კონსტანტინე გიორგის ძე ჩუტკერაშვილი.

გამოსვენება არამიანცის საავადმყოფოდან წმ. პეტრე-პავლეს ეკლესიაში (ავლაბარში) მოხდება ოთხშაბათს, 11 ქრისტ., დილის 10 საათზე. დაკრძალვა წმ. პეტრე-პავლეს ეკლესიის გალავანში ამავე დღეს. 2—1

---

გულდათუთქულნი მამა, მღვდ. ერმილე, დედა ალექსანდრა, დები: მარია და ტატიანა, ძმები: ბარნაბა, ვალიკო, გრიშა და ბენიამინ აუწყებენ ნათესავებს, ამხანაგებს და ნაცნობებს რომ მცირე ხნის ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაცვალებულის საყვარელ და დაუვიწყარ სტუდენტი-ჯარისკაცის

### გერმანე ერმილეს ძე უჯანიას

გამოთხოვების და დასაფლავების დღე დანიშნულია თერთმეტს ქრისტეშობისთვეს 4 საათზე სოფ. ონტოფოში მთავარ ანგელოზის ეკლესიაში.

(1—1933—1)

---

### თორმეტ ქრისტეშობისთვეს — არის სახალხო გვარდიის დღე

## ამიერ-კავკასიის ბანკი

### ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ

1) პროვინციის ზოგიერთ აგენტების თხოვნის თანახმად მეორე გამოცემის აქციებზე ხელის მოწერა გაგრძელებულია 1918 წლის 31 ქრისტეშობისთვემდე.

2) ორივე გამოცემის აქციები დამზადებულია კიდეც და დარიგდება თბილისში ამიერ-კავკასიის ბანკში და ქუთაისში საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში: ა) პირველი გამოცემის აქციების მისაღებად საჭიროა დროებით მოწმობის წარდგენა და ბ) მეორე გამოცემის აქციები, მიეცემათ ძველ აქციონერებს თანახმად ძირითად განაწილებისა (პირველი გამოცემის თითო აქციაზე თითო ახალი).

3) მეორე გამოცემის აქციები, თანახმად დამატებით განაწილებისა, მიეცემათ აქციონერებს 1919 წლის იანვარში იმავე ბანკებში.

4) იმ აქციონერმა, რომელმაც დროებითი მოწმობა დაჰკარგა, განცხადება უნდა შეიტანოს ამიერ-კავკასიის ბანკში დაკარგვის შესახებ, აღნიშნოს დროებით მოწმობის ნომრები და განცხადების დაბეჭდვის ხარჯების დასაფარავად წარადგინოს 25 მანეთი; ასეთ პირებს აქციები მიეცემათ ორი კვირის შემდეგ დღიდან განცხადების დაბეჭდვისა. 6—2

---

## სახელმწიფო თეატრი

### საოპერო დასი ევლახოვისა

სამშაბათს, 10 ქრისტეშობისთვეს ალეშკოს, მაროზოვის, კონშინის, ორდას, ისეცკას მონაწილეობით:

## აიდა

ფასები შესამჩნევად დაწეულია. — დასაწყისი საღ. 7 ნახ. საათზე.

ოთხშაბათს, ქრისტეშობისთვის 11-ს „ჰოფმანის ზღაპრები" მონაწ. საბანეევასა, ზალიპსკი, ნიკოლსკი. ორდას დადგმით.

ხუთშაბათს, 19 ქრისტეშობისთვეს, სახალხო გვარდიის დღეს „ჯამბაზები", საბანეევას და ორდას მონაწილეობით: „რიგოლეტო" და „ბალეტი".

შაბათს, 14 ქრისტეშობისთვეს ბ. ი. ზალიპსკის 10 წლის სასცენო მოღვაწეობის ასანიშნავად „პიკის ქალი".

კვირას, 15 ქრისტეშობისთვეს შულგინას, შვამბერგის, იანსას, კანშინის, პოლიაევას მონაწილეობით „ნერონი".

---

## ქართული დრამატიული საზოგადოების

### დრამატიული სტუდია

| | |
|---|---|
| ქ-ნნი: ანჯაფარიძე ვ. | ვაჟნი: აბაშიძე |
| გამრეკელი ნ. | ალექსიშვილი ა. |
| გურგენიძე ვ. | ბერეჟიანი ს. |
| ერისთავი ა. | ბერიშვილი შ. |
| ნადირაძე თ. | გელოვანი მ. |
| ნინონი | გურული გ. |
| ქიქოძე ა. | ზარდალიშვილი ი. |
| ქიქოძე ალ. | კობახიძე ვას. |
| წერეთელი ნ. | კოლხიდელი ა. |
| წერეთელი ნან. | მჟავია დ. |
| ლოლობერიძე თ. | ნაცვლიშვილი დ. |
| ცხვედიანი ვ. | სარჩიმელიძე გ. |
| | სუმბათაშვილი კ. |
| | ხერხეულიძე მ. |
| | ცინცაძე ნ. |
| | შათირიშვილი ა. |
| | ჯაბადარი გ. |
| | ჯიქია ვ. |

სტუდიის ახალი შემადგენლობა ამ დღეებში განაგრძობს საცად წარმოდგენების მართვას არტისტულ საზოგადოების თეატრში. პირველად წარმოდგენილი იქნება: „ბურუსი". „ვითა ფოთლები", „ღალატი", „იმედის დაღუპვა" და სხვა...

3—1 ადმინისტრატორი მიხ. ხერხეულიძე

---

## რას აკეთებს ჩვენი სამინისტრო?!

იმისთანა ისტორიულ მომენტებში, რომელსაც განიცდის ეხლა საქართველო, უპირველესი და უმთავრესი მნიშვნელობა აქვს საგარეო საქმეთა სამინისტროს. სამწუხაროდ სწორედ ეს ორგანო უკანასკნელ დრომდე ძალიან მოიკოჭლებდა და ფაქტიურად თითქმის არ არსებობდა.

ეხლაც არა ისმის რა. რაშია საქმე? როდის გამოვა „შვინდის ფერი" წიგნი?!

ყოველ დაწინაურებულ ქვეყანაში მიღებულია ჩვეულებად ფერადი წიგნის გამოცემა. გამოსცემს ხოლმე იმას საგარეო საქმეთა სამინისტრო. ამ წიგნაკში მოყვანილია ხოლმე საერთაშორისო მოლაპარაკების საბუთები და ყოველნაირი მიწერ-მოწერა. ეხლა, როცა ჩვენში მაინც გამარჯვებულია დემოკრატია, დიპლომატიურ საიდუმლოებას არ უნდა ჰქონდეს ადგილი. საერთაშორისო მოლაპარაკება არ უნდა ჰხდებოდეს მხოლოდ კაბინეტებში, იგი უნდა გამოქვეყნებულ იქნას და უნდა ქვეყნდებოდეს პერიოდულად და დაჩქარებით.

ჩვენ ვიცით, რომ ჩრდილოეთით ჯერ კიდევ სწარმოებს ბოლშევიკური მოძრაობა, ვიცით, რომ ადერბეიჯანთან გვაქვს ზოგიერთი სადაო საკითხები; არარატის რესპუბლიკა გვედავება ზოგიერთ ნაწილს საქართველოს ტერიტორიისა; ვიცით, რომ გვქონდა მოლაპარაკება გერმანიასა და ოსმალეთთან, ვიცით, სწარმოებს მოლაპარაკება ინგლის-საფრანგეთთან და ამერიკასთან. ვიცით ეს კონტაქტები, ეს მოლაპარაკებანი, მაგრამ არ ვიცით, თუ როგორ აწარმოებდა ჩვენი სამინისტრო საქმეებს, როგორ აყენებდა კითხვებს, რომელ პოლიტიკურ გეზს მისდევდა და რამდენად აღწევდა დროით და გარემოებით დაყენებულ მიზნებს.

ჩვენი ერი უკვე გამოღვიძებულია, იგი გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებს ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობას და სამინისტროს პირდაპირი მოვალეობაა დაწვრილებით გააცნოს პარლამენტს და ვრცელი საზოგადოებაც ყველა იმ დიპლომატიური და საერთაშორისო პერიპეტიებს, რომელიც გამოვიარეთ და ან რომელშიდაც ვიმყოფებით ეხლა. ეს გაჰფანტავს ბევრს უსაფუძვლო მითქმა-მოთქმას, ალაგმავს ჩვენს მტრებს, რომლებიც არაფერს ერიდებიან, ოღონდ კი გაუტეხონ სახელი ჩვენს სახელმწიფოს, დაამშვიდებს საზოგადოებას იმ უტყუარი საბუთების გამოქვეყნებით, რომელიც ეხლა ჩამალულია სამინისტროს მაგიდის უჯრებში, გამოიწვევს პარლამენტში კრიტიკას, რომელიც ყოველთვის სასარგებლოა,—და ამ ნაირად შეჰქმნის და გააღრმავებს პოლიტიკურ აზროვნებას ჩვენს რესპუბლიკაში.

„შვინდის ფერი" წიგნი ეხლა მით უფრო საჭიროა, რომ ჩამოვიდნენ უკვე ინგლის-საფრანგეთის წარმომადგენლები, და მათთვის (უფრო ჩვენთვის) აუცილებელია ცნობა და ცოდნა ჩვენი შრომის, მოღვაწეობის და პოლიტიკური მიმართულებისა საერთაშორისო განწყობილებაში.

ეს კიდევ ცოტა. ჩვენ უნდა ავალაპარაკოთ არა მარტო „შვინდისფერი" წიგნი, საჭიროა აგრეთვე ავალაპარაკოთ ჩვენი მიწაც. იცით?— ჩვენმა მიწამ ამ უკანასკნელ დროში შეისხა „ენა", იმას შეუძლიან ლაპარაკი დაშორებულ ქვეყნებთან—ეს არის რადიო.

ეხლა როდესაც არ მუშაობს საერთაშორისო ტელეგრაფი და მისვლა-მოსვლა თითქმის სრულებით შეწყდარია, რადიო-სადგურს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. ჩვენ გვაქვს მოწყობილი მანქანა, რომლის შემწეობით შეიძლება ავღძრათ ჰაერში საიდუმლო ტალღები და იმ ტალღებით გადავსცეთ შორს ქვეყნებს სხვადასხვა ამბები ჩვენი ქვეყნისა. ყოველი ქვეყანა, რომელსაც კი დაწყებული აქვს შეგნებული ცხოვრება, წარმოადგენს თავისებურს დუღილს აზრის, გრძნობის, ნებისყოფისას. მოკლედ და რიგიანად გადაცემა ამ დუღილისა და გავრცელება მისი უცხო ქვეყნებში დიდს, ძალიან დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს საერთაშორისო განპიროვნებას და, მაშასადამე, განმტკიცებას ჩვენი სახელმწიფოისას.

ჩვენ ძალიან ნაკლებ გვიცნობენ საზღვარგარედ, ჩვენზე ხშირად წარმოდგენაც კი არა აქვთ. ასი წლის მონობამ ამოშალა ჩვენი სახელი მსოფლიო რუკიდან და ეხლანდელი ადგენა საქართველოსი ბევრს არა სჯერა, ბევრს დროებითი რამ ჰგონია. არ იციან რა ჰხდება საქართველოში, როგორის ტემპით მიდის სახელმწიფოებრივი მუშაობა და რა ერთსულოვანი მხნეობით შრომობენ და იბრძვიან ყველა ჩვენი პოლიტიკური პარტიები საქართველოს დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად.

— არ უნდა მივაწვდინოთ ჩვენი ხმა? არ უნდა ვაცნობოთ, თუ რა ხდება ჩვენში? არ უნდა მივიზიდოთ უცხო ერების ყურადღება? არ უნდა შეგვაშნონ და არ უნდა დაგვინახონ როგორც ეროვნული პიროვნება?!

უკანასკნელი ხუთი თვე სტამბოლში გავატარე, და ვიცი რა ჭორებს ავრცელებენ საქართველოს შესახებ. ცნობები მოდიოდა განსაკუთრებით ბოლშევიკურ რუსეთიდან და ბოლშევიკები კი აბა რა სახეიროს დასწერდნენ საქართველოზე? „საქართველოში სამოქალაქო ომია... თბილისი იწვის... ქართველებმა აფხაზები გაწყვიტეს..." აი ამისთანა ტელეგრამები მოდიოდა და ეფინებოდა უცხო ქვეყნებს. საქართველოდან კი არა ისმოდა რა, საქართველო სდუმდა, თითქო ეს სამარცხვინო ჭორები იმას არ შეეხებოდა.

ნუ გავიწყდებათ, რომ საქართველო თავისუფალი სახელმწიფოა და დედაქალაქი მისი—ცენტრია პოლიტიკური ცხოვრებისა, მერე ისეთი ცენტრი, რომლის ირგვლივ ცოტათი მაინც ჰტრიალებს მთელი კავკასიის პოლიტიკური აზროვნება. ამისთანა ცენტრს ყოველთვის ყურს დაუგდებენ და ბოლოს გაიცნობენ საქართველოსაც.

გუშინ წინ ჩვენ დავიჭირეთ ჯავახეთი და ადგილობრივ მცხოვრებნი დიდის სიხარულით და ენტუზიაზმით დაუხვდა ჩვენს ჯარს—არ უნდა ვაცნობოთ ეს ამბავი უცხო ქვეყნებს?! ეხლახან იყო საზეიმო სხდომა პარლამენტისა, პარლამენტმა მოისმინა თავმჯდომარეთა სიტყვები და იმ ადგილებს, სადაც ლაპარაკი იყო საქართველოს დამოუკიდებლობაზე, ტაშის გრიალით მიეგება,—არ უნდა ვაცნობოთ ეს უცხო სახელმწიფოს?!

სდუმს ჩვენი რადიო-სადგური და მხოლოდ ბრძანებას ელის, რომ ააჩქეფოს ჰერცის ტალღები და ერთ წამს აფრინოს ყოველ მხრივ დედამიწის ზურგზე საიდუმლო შიკრიკები.

გიორგი გვაზავა.

## პოლიტიკურ და კულტურ. აღმშენებლობისათვის.

საქართველოს საკუთარი სახელმწიფოებრივი ტრადიციები აქვს, მაგრამ ამასთანავე ჩვენ ვქმნით ახალ კულტურულ ღირებულებებსაც. მარტო ღირებულებათა ქმნა არ არის საკმარისი. საჭიროა მათი მიზანშეწონილად მოხმარება და ეროვნულ ჯანსაღობისათვის გამოყენებაც.

საქართველო წინად რამდენიმე სამთავროებად და სამეფოებად იყო დაყოფილი. ეს გარემოება არა თუ აფერხებდა ჩვენს ეროვნულ ძალთა დაგროვებას, არამედ სრულიად შლიდა საქართველოს პოლიტიკურ სხეულის მთლიანობას და კულტურულ ძლიერებას. შეიძლება ამის გამო მოგველოდა მე-XVIII საუკუნეში ოსმალთაგან დაპყრობაც, მაგრამ ოსმალეთს რუსეთმა დაასწრო.

ჩვენ დღეს დამოუკიდებელ არსებობას ვეწევით: საქართველო უკვე მთლიანი სხეულია და ქართლ-კახ-

**ჩვენი გაზეთის კანტორასთან დაარსდა „საქართველოს“ რედაქციის ფონდი. დაეხმარეთ ფ ო ნ დ ი ს გაძლიერებას!**

იმერ-მეგრელობა აღარ უმზადებს საფრთხეს ამ მთლიანობას. დღეს ყველგან გაისმის „ქართველი და საქართველო“. დღეს არც სარწმუნოებრივი მრავალსახიანობა თამაშობს დამშლელ ელემენტის როლს და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი გრძნობები ყველა ქართველისათვის მიმზიდველია.

ეს ისეთი ძვირფასი განძია, რომლის მოპოვებისათვის არას დაზოგავდენ არც უკრაინის „სამოსტინიკები“ და არც რუსეთიდან გამოყოფილი სხვა ერთეულები. საქართველო ამ შემთხვევაში ერთი ბედნიერთაგანია და სრულიად დაიმედებულად შეუძლია თავისი სახელმწიფოებრივი შენება განაგრძოს.

საქართველოს დღევანდელი ძალები, როგორც კულტურული, ისე პოლიტიკურ-ეკონომიური საოცარ შემოქმედებით დრტვინვას განიცდიან.

ეს მდრტვინავი შემოქმედება არც ისე უჩინარია, როგორც ბევრს ჰგონია და მისი სასარგებლო კალაპოტში ჩაყენება ჩვენი მთავრობის პირდაპირი მოვალეობაა.

საკმარისია ზერელედ გადაავლოდ თვალი ჩვენს დედა ქალაქსა და პროვინციას, რომ მეტად გულსატკენი სურათი დაინახოთ. თუ რამე კულტურული მოიპოვებოდა ჩვენს პროვინციაში, დღეს ყველაფერი თუ ჩამოსულა თბილისში, თუ სულითა და გულით აქეთ მიისწრაფის. თვით პროვინცია კი, როგორც ქალაქში, ისე დაბა-სოფლებში სრულიად დაცლილია კულტურულ ძალებისაგან.

მართალია, თბილისი საქართველოს ტვინია, მაგრამ არც ქუთაისი, ფოთი, სოხუმი და სხვა ქალაქები შეადგენენ საქართველოს ფრჩხილებს. თბილისი კი ჰყლაპავს სხვა ქალაქებს და თუ სათანადო უწყებამ თავის დროზე არ მოუღო ბოლო ასეთ ყოვლად შეუწყნარებელ კულტურულ ცენტრალიზაციას, ჩვენ ისეთივე კულტურულ კატასტროფას უნდა მოველოდეთ, როგორიც რუსეთს მოუვიდათ უბრალო პოლიტიკური ცვლილების გამო. მთელი კულტურული რუსეთი მოსკოვ-პეტერბურგში იყო დაგროვილი და პროვინციის ბედმა ეს ცენტრებიც წააქცია კაი ხნით. ასეთივე კულტურული ცენტრალიზაცია არ თამაშობდა უკანასკნელ როლს იმ პროცესში, რომელსაც განიცდიდა დღემდი საფრანგეთი. ფრანგის ხალხი არა თუ მარტო ზნეობრივ-გონებრივად, ფიზიკურადაც გადაშენების გზას დაადგა და ვინიცის უწყელის მას თუნდაც ბრწყინვალე გამარჯვება ინგლის-ამერიკის დრედნოუტებისა და ტონკებისა თუ არა? მთელი საფრანგეთი პარიზშია გამოსახული და პარიზმა დასჩაგრა და დაჩრდილა დანარჩენი დიდი ცენტრები საფრანგეთისა.

საკმარისია ერთი გარდამტეხი მუშტი საფრანგეთისათვის, რომ იგიც გაზიაროს რუსეთის ბედს.

ეს კი არ ითქმის არც ინგლისზე, არც ამერიკაზე და არც გერმანეთზე. ამ სახელმწიფოებში არ არის ლონდონი, ნიუ-იორკი ან ბერლინი მთელი სახელმწიფოებრივი კულტურული ძლიერების მაჩვენებელი. მაგალ. ბერლინს არაფრით არ ჩამოარდებიან ისეთი, პროვინციული ქალაქები, როგორც ირიან მიუნხენი, ლაიპციჲი, დრეზდენი, ფრანკფურტი მაინზე, იენა, კარლსრუჰე, მანჰაიმი, გინდ 80 ათასიანი ჰაიდელბერგი. ძვრავინ დაამტკიცებს, რომ ბერლინის უნივერსიტეტები, ინსტიტუტები, აკადემიები, სამხატვრო გალერეები, ბაღები, ფაბრიკები, სახლები და სხვა კულტურული ქმნილებანი რითიმე სჯობნიდნენ გერმანეთის სხვა ქალაქების ასეთსავე დაწესებულებებს. ასევეა თითქმის ინგლისშიც, ამერიკაშიც, იტალიაშიც და სხვა ჯანსაღ ევროპიულ სახელმწიფოებშიც.

და ასე უნდა მოეწყოს კულტურის საქმე საქართველოშიც, რომელიც თვისი ტერიტორიული მდებარეობით აზიური, უკულტურო ქვეყნებით არის გარშემორტყმული, რომელთაგან კულტურულ იზოლიაციას ჩვენი ქვეყნის მომავალი გვავალებს.

ოსმალეთის მაგალითი მეტად საყურადღებოა, საშინელი კულტურული ცენტრალიზაციის გამო, ოსმალეთი უფრო უდაბნოს მოგვაგონებს, ვინემ დღევანდელ სახელმწიფოს. ოსმალეთი —სტამბოლი, ხოლო ოსმალეთის დანარჩენი ნაწილი წარმოუდგენელ სიბნელეში იხრჩობა. და თუ ოსმალეთმა დროზე ვერ მოეხერხა თვისი ხალხის კულტურულ დონის ამაღლება, იძულებული შეიქმნება თავი დაუკრას თვის არსებობას. ამას კი შესძლებს იგი არა მარტო ევროპის კულტურული ტრადიციების შეთვისებით, არამედ დაუყოვნებლივი კულტურული დეცენტრიზაციით.

საქართველო ახალი სახელმწიფოა და მით უფრო ადვილია მისთვის კულტურულ დეცენტრიზაციის გზაზე დადგომა. მაგრამ კულტურულმა დეცენტრალიზაციამ არასოდეს არ უნდა შექმნას პოლიტიკური დეცენტრილიზაციის პრეცენდენტი. პირიქით, კულტურულ ცენტრალიზაციას პოლიტიკური ცენტრალიზაცია უნდა თანა სდევდეს.

ევროპა ამის მაგალითსაც ბევრს მოგვცემს.

იგივე გერმანეთმა მხოლოდ მაშინ მიაღწია თვისი ძლიერების აპოგეის, როდესაც სხვადასხვა წვრილ. სამეფოების დაქსაქსული პოლიტიკური ხაზები ერთ ალაგას—ბერლინში გადაეტანა. თუ რომელიმე მხრიდან საფრთხე და წაშლა მოელის განახლებულ გერმანეთს, ეს იქნება სეპარატიული პოლიტიკისაკენ მისწრაფება ცალ-ცალკე ბავარიისა, ბადენისა, საქსონიისა, პრუსიისა და სხვათა. მაგრამ ის გარემოება, რომ ყველა ეს ნაწილები ყოველ შემთხვევაში გერმანულ ეროვნულ ფსიხიკით სულდგმულობენ, სრულს უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ გერმანეთი არ დაიღუპება და კვლავ დაიჭერს საპატიო ადგილს ვილსონის მიერ ნაგულისხმევ ხალხთა ლიგაში. არ გვგონია, რომ რკინის კანცლერის ბისმარკის მიერ აღებულ პოლიტიკურ ხაზს ან ახლა აუხეირის ძვალმაგარმა გერმანულმა ეროვნულმა დემოკრატიამ. გერმანიის მდგომარეობას საქართველოც წააგავს და თუ ჩვენმა დემოკრატიამ არ დაივიწყა დავით აღმაშენებლის როლი საქართველოს შემოკრეფაში, ის უთუოდ განაგრძობს იმ პოლიტიკურ ცენტრალიზაციისაკენ სიარულს, რომელსაც დღეს ეწევა.

როგორცა ვსთქვით პოლიტიკურ ცენტრალიზაციას ჩვენში საშინელი და მეტად სახიფათო კულტურული ცენტრალიზაციაც თანა სდევს.

ეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა ასცდეს თავიდან სიქართველოს.

ამგვარად ჩვენი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა ერთს უცილობელსა და თანამედროვე ფორმულას უნდა დაეყრდნოს.

სრული პოლიტიკური ცენტრალიზაცია, ჰარმონიულად შეზავებული კულტურულ დეცენტრალიზაციასთან.

მაშასადამე ჩვენს მომავალ საქმიანობას საძირკვლად უნდა ჩაუყაროთ არა მარტო თბილისის ეროვნულ კულტურულად აყვავება და გაძლიერება, არამედ ყოველი ღონის ძიება უნდა ვიხმაროთ, რომ უმაღლესი სასწავლებლები, მუზეუმები, ზოოლოგიური თუ ბოთანიკური ბაღები, ხელოვნების ტაძრები, ეთნოგრაფიული დაწესებულებანი, ბიბლიოთეკები, ქარხნები, ლამაზი შენობები და სხვა ეღირსოს ქუთაისსაც, ფოთსაც, სოხუმსაც, ბათომსაც, ყვირილასაც, ხონსაც, ზუგდიდსაც, ოზურგეთსაც და სხვა ახლად შობილ ქალაქებსაც, თვარა ყველა კულტურულ დაწესებულებათა თბილისში დაგროვება მთელს ჩვენს კულტურულ ენერგიას თბილისში დააგროვებს, ხოლო პროვინციას უდაბნოდ აქცევს.

აი ამ გარემოებას უნდა მიაქციოს დიდი ყურადღება ჩვენმა მთავრობამ და გახდის რა თბილისს საქართველოსათვის პოლიტიკურ ტონის მიმცემ ცენტრად, არ დაუკეტავს კულტურისაკენ მიმავალ კარებს საქართველოს პროვინციებსაც.

**იოსებ ხანანაშვილი**

## პ რ ე ს ს ა

**მთიელების ორგანო ჩვენს დამოუკიდებლობაზე.**

საქართველოს დამოუკიდებლობის ნახევარი წლის შესრულების გამო მთიელთა კავშირის ოფიციოზი „სევერნი კავკაზ“-ი, სხვათა შორის, სწერს:

„კავკასიის მთიელნი ყოველთვის ცხოველი ინტერესით თვალყურს ადევნებდნენ ქართველი ხალხის რთულსა და ძნელ ბრძოლის ყოველს პერიპეტიას სახელმწიფურ დამოუკიდებლობისათვის. ჩვენ თვითონაც მივისწრაფოდით შეგვექმნა დამოუკიდებელი მთიელთა რესპუბლიკა და სახელმწიფო კავშირი გაგვეწყვიტა იმ რუსეთთან, რომელიც მათთვის ყოველთვის ბოროტი დედინაცვალი იყო და მომავალშიაც არავითარ სიკეთეს არ უქადის. კავკასიის მთიელნი ჰგრძნობდნენ, რომ ამ მიზნის მიხწევას ისინი შესძლებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მათ სამხრეთით სხვა დამოუკიდებელი სახელმწიფო იარსებებს, გაერთიანებული ამიერ კავკასია, ან და საქართველო...

ჩვენ გულწრფელად გამოვსთქვამთ გრძნობებს, რომელითაც აღვსილნი არიან მთიელთა ხალხის ყველა შეგნებული ელემენტი. ვესალმებით ქართველ ერს და ვუსურვებთ ძლევამოსილი გამოსულიყოს მძიმე ბრძოლიდან, რომელშიაც მას ესოდენი მოწინააღმდეგენი ჰყავს შინ და გარედ; იმ ბრძოლიდან, რომელშიაც მან გამოიჩინა დიდი სახელმწიფო სიბრძნე და უნარი! აირჩია სწორი ხაზი ყოფაქცევისა, რომლითაც დასთრგუნა მოწინააღმდეგეთა მუხანათობა! დაე, კიდევ მრავალჯერ იდღესასწაულოს ქართველმა ხალხმა ამგვარი დღენი და ამ დღესასწაულზე ყოველს ჟამს დაესწროს კავკასიის მთიელთა ხალხის დამოუკიდებელი რესპუბლიკის წარმომადგენელი“...

## ქ. ცარიცინიდან თბილისამდი

მას შემდეგ, რაც ქ. ცარიცინში ქართველობისთვის აუტანელი მდგომარეობა შეიქმნა ბოლშევიკების გაძლიერების გამო, გადავწყვიტეთ: დაუყოვნებლივ შევწყვიტოთ ყოველივე საქმე, რისთვინაც ვიმყოფებით ქ. ცარიცინში და გავემგზავროთ საქართველოში. მეორე დღესვე გამოვგზავნეთ 14 კაცი ასტრახანზე. ეს იყო 10 ენკენისთვეს. 15 ენკენისთვეს რიცხვით რვა კაცმა, სხვათა შორის მეც, დავიჭირეთ ფურგუნები და გაუდექით სვ. კრესტისკენ სტავროპოლის გუბერნიისაკენ. არ გამოვცილებულიყავით ცარიცინს ათ ვერსზე, რომ უკან დაგვაბრუნეს ბოლშევიკების დარაჯებმა და რომ არ გვეთქვა ოჯახობას ვაცილებდით ახლო სოფელში ცაცაშიო (ახლო მდებარე სოფელია) და ჩვენ უკან დავბრუნდებითო, რა თქმა უნდა ყველას დაგვიჭერდენ და ციხეში ჩაგვსხამდნენ.

ერთი კვირის შემდეგ გამოაცხადეს მობილიზაცია ყველასი 18—45 წლამდის, წაიყვანეს თითქმის ყველა მამაკაცი, დაყვეს ზოგი საბრძოლველად, ზოგი მინდორში სამუშაოდ პურის ასაკრეფად, კარტოფილის ამოსაღებად, კომბოსტოს მოსაკრეფად და სხ. ამ მობილიზაციაში მოვყევით 54 ქართველი. ამათში 38 კაცი წაიყვანეს მინდორზე სამუშაოდ, 16 კაცი კი წაგვიყვანეს საბრძოლველად ყაზახების წინააღმდეგ. 25 ენკენისთვეს მოკრიფეს ქალებიც, უფრო მდიდრის ოჯახებიდან რიცხვით 15,000 და ზოგი მინდორში გაგზავნეს კაცების დასახმარებლად, ზოგიც ქალაქში დასტოვეს. 21 ღვინობისთვიდან 28 გიორგობისთვემდი სადაც ჩვენ ვიყავით, ჟუტოვის ასპარეზზე, სრული სიწყნარე იყო, 28 გიორგობისთვეს კი დილით საათის ხუთზე გამოჩნდა ყაზახების რაზმი და აგვიტეხა ხშირი სროლა. ნაბრძანები გვქონდა არ გვესროლა, მანამ ახლოს 60—70 ნაბიჯზე არ მოვიდოდა. 7 საათი იქნებოდა, რომ ყაზახებმა მოიტანეს იერიში. უფრო მეტი წილი ხმალით მიდიოდა, თოფები ცოტა ჰქონდათ. რომ მოახლოვდნენ 60 ნაბიჯზე ჩვენი მხრით თოფებით თუ ტყვიისმფრქვეველით აუტეხეს საშინელი სროლა, ამას დაეხმარა არტილერიაც და უკუაგდეს ყაზახები. ორ საათს შემდეგ გაშმაგებული წამოვიდნენ ხელახლა ყაზახები, მიუხედავად დიდი ზიანისა მაინც წინ იწევდნენ. მოუახლოვდნენ კიდეც თხრილს. ამოვიდნენ თხრილებიდან ბოლშევიკები და შეიქნა ხელჩართული ბრძოლა. მარცხნიდან მოულოდნელად შემოგვეჭრნენ ყაზახები. ბოლშევიკებმა სწრაფად უკან დაიხიეს. ჩვენც დავიხიეთ 15 ვერსზე რკინის გზის სადგურ ჟუტოვამდე. აქ ერთ ბატალიონიდან ვიყავით სულ 86 კაცი. ვეღარ ვნახე ჩემთან მყოფ ქართველებიდან 3 კაცი, დანარჩენები კი, 5 კაცი, მე არ მომშორებიან; 8 კაცი ქართველი კი სხვა ადგილას იყო. ჩამოვედით ცარიცინში დასასვენებლად და ბატალიონის შესავსებად. აქ ავიღე ორი კვირის ოტპუსკი, მოვიყარეთ ხელახლა თავი ქართველებმა და გადავწყვიტეთ, რაც უნდა დაგვმართოდა წამოვსულიყავით სახლში, თუ რამეა იქ სამშობლოს უშველოთ, იმისთვის დავიხოცოთ და არა ჩვენის სამშობლოსთვის გამოუდეგარ ბოლშევიკებისთვის. 4 ღვინობისთვეს სხვა გვარებზე ავიღეთ ცარიცინიდან გასვლის ნებართვა და 6-ში დიდი სიფრთხილით დავიტვირთეთ გემში ასტრახანისკენ. მოვდიოდით 5 ოჯახი სულ 16 სული. აქ მეორე დღეს და მესამეს ჩამოგვემატა ათი კაციც გამოქცეული პირდაპირ სამუშაო მინდვრიდან, მოგვემატა კიდე 5 კაცი მოსკოვიდან, სამარიდან და სარატოვიდან გამოქცეულები სულ 40 კაცამდე მოვიყარეთ თავი და 4 ღვინობისთვეს ურმებით გაუდექით სვ. კრესტისკენ. დიდძალი ქართველობა შეგროვებულიყო და გემების წასვლას უცდიდა ბაქოზე. მათვე შეედგინათ ქართული „დრუჟინა“, რიცხვით 300 კაცი. ახლაც ბევრია რუსეთში დარჩენილი, ბევრი მათში გამოქცეული ტყვეა, რომელსაც ორიოდე გროში უნდა იშოვოს და მერე სახლში ჩამოვა. „დრუჟინას“ უფროსობს სიმონ ხმალაძე. ვიარეთ 11 დღე 500 ვერსი, აქედან წავედით ქ. მოზდოკში სადამდისაც მოუნდით 8 დღე 3, დღე გაზუნდში გავჩერდით. „პროხლადნიდან“ გავედით ნალჩიკში გვინდოდა მთაზე გადასვლა—რაჭაზე და ქუთაისში, შემოგვეყარა 30 ქართველობა ინტელეგენცია, რომელსაც გადასვლა ნდომია მთაზე, მაგრამ თოვლი მოსულა და ვეღარ გადასულან, ცხენები ჩაფლულან თოვლში და გასვლა ყოვლად შეუძლებელი გამხდარა. ჩვენ მეტი არა დაგვრჩა რა ისევ ასი ვერსით მოუარეთ და ჩავედით ისევ ნალჩიკში. შემდეგ 30 ღვინობისთვეს ჩაველით კატლიარევსკში აქედან ზმეიკაზე (სოფელია—არდონზე), არდონკაზე ჩამოვედით 3 გიორგობისთვეს ბესლანში, მეორე დღეს წავედით კავკავში და 12 გიორგობისთვეს კიდეც მცხეთაში ჩაველით. ჩვენ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რომ საქართველოში შემოვედით და დაგვხვდა ქართველი ჯარი. რკინის ხიდს რომ გადმოვცდით ყაზბეგამდე უვნებლად ურას ვყვიროდით, რომ ახლა კი საქართველოში ვართო და თავისუფლად სულს ა ოვისუნთქამთო. მეტი არ იქნება ცარიცინის სიძვირეზე მოგახსენებთ. რაც შეეხება სიძვირეს ცარიცინში და ასტრახანში უფრო სიძვირე იყო, პური გირ. ღირდა ერთი თუმანი, თეთრი პური სულ არ იყო, შაქარი გირვანქა 40—50 მანეთი, კარტოფილი ფუთი რვა თუმანი და სხვა ხორცი მართალია იაფი იყო გირვანქა მანეთ-ნახევარი; ჩრდილოეთით სარატოვში, სამარაში, მოსკოვში, პეტროგრადში უფრო დიდი სიძვირეა, საერთოთ რუსეთი ველიკოროსია მშიერი ქვეყანაა თუ ჩრდილო კავკასიიდან, უკრაინიდან ან ციმბირიდან პური არ შევიდა.

**ქ. ქურდევანიძე.**

## ქრონიკა

**დეპეშათა მიმოსვლის შეწყვეტა.** 4 ქრისტეშობისთვეს ბაქოს, სომხეთის და საქართველოს შორის დეპეშების მიმოსვლა შესწყდა. მიზეზი გამოურკვეველია.

**გზათა სამინისტრო.** გარეშე საქმეთა სამინისტრო იუწყება, რომ რკინის გზებზე სანაინსა და შავალას შუა მატარებლების მოძრაობა ხდება ყოველ ტეხნიკურ ექსპლოატაციას გარეშე, რადგან სად. კალაგერანში სდგას სომეხთა ჯარები. გზათა სამინისტრო სთხოვს საქმის გამორკვევას და მატარებლების მოგვარეობისთვის მათ უზრუნველყოფვას.

**სომეხი ლტოლვილები.** მანგლისიდან იტყობინებიან ბეშვაშენქამდი 300 ლტოლვილი გაუგზავნიათ.

**გაძარცვა.** 9 ქრისტეშობისთვეს კავშირთა კოოპერატიული მაღაზია (მიხ. ქ. № 18) უცნობმა ბოროტგამზრახველებმა გასტეხეს და კასიდან 150.000 მანეთი გაიტაცეს.

— 8 ქრისტეშობისთვეს 7 საათზე ღამით ლოლიანცის ფურნეში შეცვივდნენ (ლოტკინის ქ. № 18) უცნობი შეიარაღებულნი და გაიტაცეს 4000 მანეთი და 3 ოქროს ბეჭედი. ეჭვით შეიპყრეს გ. ხარლაშვილი. ა. ცქიტიშვილი და ა. ქათანიშვილი.

**რკინის გზათა** გენერალ-გუბერნატორს ყარალაშვილს მოუვიდა შემდეგი დეპეშა მოლითის სადგურის უფროსისგან: „4 ქრისტ. 14 ს. 30 წ. ოსმალთა სანიტარული მატარებელი, რომელიც 23 ვაგონისა და ორი ორთქლმავალისაგან შესდგებოდა, სადგურზე შესვლის დროს მემანქანის მოუხერხებელი შეჩერებით მატარებელი ლიანდაგიდან გადავარდა. 15 ვაგონი დაიწვა, 7 დაზიანდა. ბევრია დახოცილი და დაჭრილი. გზა გაფუჭებულია 40 საჟენზე. მოძრაობა შეჩერდა 2 დღეს. გაგზავნილია დამხმარე მატარებელი და ექიმთა პერსონალი. მატარებლის მოხელენი ოსმალები იყვნენ. გამოძიება სწარმოებს. დამატებითი ცნობების მიხედვით მკვდარია 120 კაცი, დაჭრილი 130“.

**სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს ათ ქრისტეშობის., საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექცია, 1) ექ. მაისურაძისა ანატომიიდან, 2) ექ. ტურიაშვილისა ჰიგიენიდან.

**სახალხო გვარდიის შეწირულებანი.** საქ. სახაზინო რკინის გზათა ცენტრალ. გამგეობამ სახალხო გვარდიის ფონდისთვის 10,000 მანეთი გადასდო.

**სახალხო გვარდიის** წლის თავის აღსანიშნავად დაინიშნება ჩქარი მატარებელი თბილისიდან ფოთამდე, მატარებელზე იქნება მოწყობილი ამერიკანული აუქციონი და ბუფეტი. ბილეთებისაგან შემოსული ფული გადიდება, დაზარალებულ გვარდიელთა ოჯახების სასარგებლოდ.

**ცხენების მოშენება.** სამხედრო სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი საქართველოს სახელმწიფოში ცხენთა მოშენების შესახებ. აღნიშნულ პროექტით საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო უწყებამ სასწრაფო ზომები უნდა მიიღოს საქართველოში ცხენების მოშენების კვლავ აღსადგენად, რასაც მოითხოვს ჩვენი სახელმწიფოს სამხედრო და სამეურნეო ინტერესი.

**ქურდების ნადავლი.** ოფიციალური ცნობებით იტყობინებიან, რომ 1917 წლის ოთხი თვის ქურდებისა და ყაჩაღთა ნადავლი 1,296,000 მანეთს უდრის, ხოლო 1918 წლის ერთი თვის, სექტემბრის კი 1,521,000.

**კოოპერატიულ დუქნებში.** ქალაქის 18 სასურსათო დუქნები, რომელნიც ქალაქის გამგეობამ კოოპერატივების კავშირს გადასცა განაწილებულია ოთხ დიდ კოოპერატივების შუა, რომელნიც ამ დუქნებს თავიანთ დუქნების განყოფილებათ გადააქცევენ და შაქრის გარდა ხორცს, ბოსტნეულს და სხვა სანოვაგესაც გაჰყიდიან.

**ახალი ჟურნალი.** 1919 წლის იანვრიდან გამოვა დიდი (300—40 გვ.) ყოველ-თვიური სალიტერატურო-სამხატვრო, სამეცნიერო, საკოოპერაციო და საპოლიტიკო ჟურნალი **„შვიდი მნათობი“**. ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილნი ლიტერატორები, მხატვრები, კოოპერატორები, პოლიტიკოსები და მეცნიერნი. გამომცემლობა ამიერ-კავკასიის კავშირისა.

**კვირას 8 ქრისტეშობისთვეს** სიონის ტაძარში ღვთის მსახურება შეასრულა ჰყონდიდელ მიტროპოლიტ ამბროსიმ. წირვაზე, თავის დროს, მისმა მეუფებამ დეკანოზად აკურთხა პატარძეულის მღვდელი ვასილი კოზმოვი.

**ძეგვის ხიდი.** ძეგვის ხიდის საქმის გამოძიება დასრულდა და საგანგებო სასამართლოს გადაეცა.

**ავტომობილების მიმოსვლა.** თბილისსა და თბილისის მაზრაში, კოჯორ-აღბულაღამდე და სტეფანწმინდამდის (ყაზბეგი) კიდეც მოეწყო.

**ქ. ფოთი.** ბოროტ-გამზრახველებმა გასტეხეს ნინო სერგეევის სახლი და წაიღეს 10,000 მან. ღირებული ნივთეული.

**ქ. ქუთაისში** ამ დღეებში გამოვა კ. ბერეკაშვილის რედაქტორობით პერიოდული გამოცემა „მევენახეობა და მეღვინეობა.“

**სამუსიკო დილა.** ქართული სამუსიკო საზოგადოება, კვირას 15 ქრისტეშობისთვეს, კონსერვატორიის დარბაზში გამართავს ქართულ სამუსიკო პირველ მოწაფეთა დილას. დასაწყისი შუადღის 12 საათზე.

— 6 ქრისტეშობისთვეს სახადით გარდაიცვალა მღ. კოტე ჩუტკერაშვილი. განსვენებული ცნობილი იყო როგორც მუსიკოსი და გამოცდილი ლოტბარი. დაკრძალვა მოხდება პეტრე-პავლეს ეკლესიაში (ავლაბარში) 11 ქრისტეშობისთვეს.

## პროვინციის ცხოვრება

**ს. ილდოკანი** (კახეთი). ს. ილდოკანსა და ფხოველში ნავთის საქმე კარგად მიდის.

—

**ქ. გორი.** კვირას, ქრისტეშობისთვის 22-ს ქ. გორში, უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლის შენობაში გაიმართება მორიგი საზოგადო კრება გორის რაიონის სახალხო მასწავლებელთა კავშირის წევრებისა. განსახილველია საყურადღებო საკითხები.

—

## ერობა

სენაკის მაზრის წვრილი საერობო ერთეულების არჩევნები მოხდება 3-ამს იანვარს 1919 წ. (ძველი სტილით) საერობო ერთეულებად მიღებულია არსებული სასოფლო საზოგადოებანი. პარტიების თუ ჯგუფებისაგან ხმოსნების კანდიდატების სიებს საზოგადოებათა საარჩევნო კომისიები 2 ინვარამდე 1919 წ. მიიღებენ.

—

## გერმანიის ჯ.-კაც. საბჭოს პრეზიდიუმი ნ. ჟორდანიასთან

7 ქრისტეშობისთვეს მუშათა დეპ. საბჭოს თავმჯდ. ნოე ჟორდანია ინახულა გერმანიის ჯარისკაცთა საბჭოს პრეზიდიუმმა და გერმანელ ჯარისკაცთა სახელით მადლობა გადასცა ქართველი ხალხის მათდამი მეგობრულ დამოკიდებულებაზე დი იმ რეზოლიუციის გამო, რომელიც მუშათა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე მიიღეს გერმანიის რევოლუციაზე. პრეზიდიუმმა გამოსთქვა იმედი, რომ ის კავშირი, რომელიც აქ დამყარდა ქართველ ხალხსა და გერმანელ ჯარისკაცთა შორის, მომავალშიც დაურღვეველი იქნება. ნ. ჟორდანიას საპასუხო სიტყვის შემდეგ პრეზიდიუმმა სთხოვა მადლობა გადაეცა მუშ. საბჭოსთვის, გამოეთხოვა და განაცხადა, რომ გერმანიის უკანასკნელი ჯარი გემ „ღენერალით“ 13 ქრისტეშობისთვეს გავა ფოთიდან.

## ბათუმი

ქალაქის ქუჩები მცირე მოძრაობის გამო ბალახით არის გადამწვანებული. წეს-რიგი და სისუფთავე ყველგან არი. მშვენიერი ბათუმის ბაღი სუფთად შენახულია. ყველა, ვისაც კი შეუძლიან მიდის ბათუმიდან, უფრო ქართველობა. ქალაქში იაფობაა. საქონელი ყველაფერი იშოვება და იაფიც, მაგრამ გატანა არ შეიძლება.

მაღაზიები იღება დილის 4 საათზე, იკეტება ღამის 10 საათზე. რესტორანები და კაფეები სავსეა ოსმალოს ოფიცრებით. მაგარი სასმელები თავისუფლათ იყიდება. სამაგიეროდ არც ერთი გაზეთი არ გამოდის, ხანდისხან უშვებენ დეპეშებს, სადაც ცენზურის გამო ვერაფერს გაიგებს კაცი. ამგვარათ მთელი საზოგადოება ხმებით იკვებება.

ხმა იყო გავრცელებული ოსმალეთი ბათუმს სცლისო. ამის გამო უსაქმოდ დარჩენილი და შიმშილობაში ჩავარდნილი რუს-მოხელე-ოფიცრობა ვერ მალავდა სიხარულს და აღტაცებით მოელოდა ალექსეევის ჯარს.

ბათუმის სადგურზე ნახავთ ვაგონებს დაშლილ მძიმე ზარბაზნებით დატვირთულს, რომელსაც ნავთ-სადგურისაკენ მიაქანებენ. რკინის გზაზე და ყველგან ოსმალური ადმინისტრაციაა.

## დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო)

**რატენაუს სიტყვა გერმანიის დანაშაულობაზე.**

**გერმანული პრესა.** 7 გიორგ. ცნობილი პოლიტიკ.-ეკონომიკ. ვალტერ რატენაუ, რომელიც რამდენიმე ხნის წინად მოუწოდებდა ხალხს ომისაკენ, ეხება გერმანიის ხალხის დანაშაულობის საკითხს და პოლკოვნიკ ჰაუზს ღია წერილში სწერს: „გერმანიის ხალხმა დაიწყო ომი მისთვის, რომ მას უთხრეს,—ეს ასე უნდა იყოს, ეს აუცილებელია. მან ნება მისცა თავისითავის დახოცვის და თითონაც ხოცავდა და ანადგურებდა მხოლოდ იმიტომ, რომ მას უთხრეს—ეს საჭიროა, ეს ასე უნდა იყოს. ახლა კი, როცა უფსკრულის პირას სდგას, მან პირველად გაახილა თვალები და გაკვირვებული კითხულობს: ნუ თუ ეს მართლა საჭირო და აუცილებელი იყო, ნუ თუ ეს ასე უნდა ყოფილიყო? დამნაშავენი მოიპოვებიან. იმ მცირე-რიცხოვანთა გარდა, რომელნიც სიგიჟემ შეიპყრო და ომი სწყუროდათ, დამნაშავე ვართ ჩვენც, ჩვენ—რომელნიც მრავალნი ვართ, რომელნიც ვხედავდით ომის მოახლოვებას, რომელნიც ომის პირველ დღიდანვე ვხედავდით მის სიგიჟეს და მომავალ კატასტროფას. ჩვენ არ შეგვწევდა ძალა, აგვეცდინა საფრთხე. შეუძლებელი იყო წინააღმდეგობა გაგვეწია წინანდელ მილიტარისტულ სახელმწიფოსათვის, რადგანაც ის თავის სიძლიერით და ინფორმაციის საშუალებით სრულიათ ჰსთრგუნიდა თავისუფლებას. გერმანია

დამნაშავე არ არის. გერმანიის ხალხის ნების-ყოფა, მიუხედავად პარლამენტის არსებობის, შებორკილი იყო საშინელ მილიტარისტულ ძალით. გერმანიის ხალხის ნებისყოფა რევოლიუციამ გაანთავისუფლა. მან პირველად იგრძნო თავი იავისუფლად და ეს ნებისყოფა გამოიხატა ზავის მოთხოვნაში. შემდეგ რატენაუ იხსენიებს, რომ გერმანია მუდამ საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რადგან იმ ტერიტორიაზე, რომელსაც მხოლოდ 30 მილიონი კაცის გამოკვება შეუძლია, სცხოვრობს ...(გამოტოვებულია). უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში ხალხი დაიშა, ახლად დაბადებულთა რიცხვი მცირდება, ვალების და მუშახელის სიმცირის გამო მრეწველობა კვდება, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტები ამას ადასტურებს, შეთანხმების სახელმწიფოებს სწადია გერმანიას აწმყოში და მომავალში არსებობის საშუალება მოუსპოს. რატენაუ შებრალებას არ ითხოვს. ის მიმართავს ეხლანდელ მბრძანებელთა სოლიდარობის და პასუხისმგებლობის გრძნობას. რატენაუ ასე ათავებს: კაცობრიობა საერთო პასუხს აგებს. ყოველი კაცი ცალკე პიროვნების და მთელი ერის ბედის წინაშე პასუხისმგებელია. ამ დღეებში ისეთ გადაწყვეტილებებს იღებენ, რომელნიც მთელი საუკუნოებით სწყვეტს კაცობრიობის ბედს. პრეზიდენტი ვილსონი მოითხოვს მას, რაც დედა-მიწის ზურგზე ჯერ არავის განუხორციელებია, საერთო შერიგებას, ხალხთა უფლებას და თავისუფლებას. ღმერთმა ჰქნას, რომ ეს განხორციელებულიყოს და თუ ეს არ მოხდა, მაშინ გამართლდება ძველი სიბილური (საბედისწერო მნიშვნელობის) ანდაზა, რომელიც პლუტარხმა დაგვიტოვა.

**გერმანიის მემკვიდრე პრინცის გადადგომის აქტი.**

**ბერლინი,** 6 ქრისტეშობისთვე. ბერლინში მიიღეს გერმანიის ყოფილ მემკვიდრე პრინცის მიერ ტახტზე უარის თქმის აქტი, რომელშიაც ნათქვამია: აქტით უარს ვამბობ ყველა უფლებაზე, როგორც პრუსიის, ისე საიმპერატორო გვირგვინზე, რომელიც იმპერატორ ვილჰელმის ტახტიდან გადადგომის გამო და სხვა უფლების ძალით მე მეკუთვნოდა.

**ოსმალეთის სამხედრო გემების მოკავშირეთა ხელში გადასვლა.**

**ინგლისური პრესა.** 6 ქრის. ოსმალეთმა სამხედრო გემები მოკავშირეთ გადასცა. გებენი, 4 გერმანული წყალქვეშა ნავი და რუსეთის შავი ზღვის ფლოტი მოკავშირეთა ხელში გადავიდა.

**ინგლისელები ევროპის რეკრუტის გაუქმებაზე.**

ენში ჩერჩილმა სთქვა, რომ ბრიტანიის წარმომადგენელნი საზავო კონფერენციაზე მოითხოვენ სრულიად ევროპაში რეკრუტის სისტემის გაუქმებას.

**ლლოიდ ჯორჯი კაიზერის შესახებ.**

ლლოიდ ჯორჯი პოლიტიკურ მიმოხილვაში ამბობს: „კაიზერი სასამართლოს უნდა გადაეცეს. ის პასუხის მგებელია თავის ნებით ომის გამოცხადებაში და ბელგიაში შეჭრის გამო. საზავო კონფერენციაზე მთავრობამ უნდა მოითხოვოს, რომ სამართალში მიეცეს აგრეთვე წყალქვეშა ნავების უფროსნი და ის პირნი, რომელნიც სასტიკათ ეპყრობოდენ სამხედრო ტყვეებს.

**ბოლშევიკური გამოსვლა ბერლინში.**

როგორც გერმანიიდან იუწყებიან ბერლინში ბოლშევიკური გამოსვლა მოხდა; ქუჩებში შეტაკებები იყო.

**მოკავშირეთა ჯარის წინსვლა რეინისკენ.**

მოკავშირეთა ჯარი რეინისკენ წინსვლას განაგრძობს.

**ბელგიის მეფე დედოფალი პარიზში.**

ბელგიის მეფე და დედოფალი ჩამოვიდენ პარიზში, სადაც მათ ოვაციები გაუმართეს. ელისეის სასახლეში ბანკეტზე ბელგიის მეფემ და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა გრძნობიერი სიტყვები წარმოსთქვეს.

**ინგლისის ფლოტი რეველში.**

ესტონიის მთავრობის თხოვნით ინგლისის ფლოტმა დაიპყრო რეველი. რათა წინააღმდეგობა გაუწიონ ბოლშევიკებს, რომლებიც მცხოვრებლებისადმი დიდ სისასტიკეს იჩენენ.

**სესილი საზავო კონფერენციაზე.**

ლორდ რობერტ სესილი საზავო კონფერენციას დაესწრება, როგორც ხალხთა ლიგის ინგლისის სექციის თავმჯდომარე.

**ვილსონის იმედი ზავის შეკვრაზე.**

პრეზიდენტმა ვილსონმა კონგრესის გახსნისას იმედი გამოსთქვა რომ ზავი გაზაფხულზე დამყარდება.

**ახალი საზღვაო პროგრამა.**

სასურველად იქნა აღიარებული ახალი საზღვაო პროგრამის შედგენა, რადგანაც უგუნურობა იქნება, რომ ყველაფერი შეუთანხმოთ ამერიკის მომავალ მსოფლიო პოლიტიკას, რომელიც ჯერ-ჯერობით გამორკვეული არ არის.

**ისლანდიის დამოუკიდებლობა.**

**მოსკოვი.** 6 ქრისტეშობის. (ც. ა. ქ. ბეჭვდითი ბიუროს ბიულეტენი). დანიასთან ხელშეკრულების თანახმად ისლანდიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. პეტროგრადიდან დანიის ელჩმა სტოკჰოლმში დეპეშა გაუგზავნა გერმანიის ელჩს, რომ მოსკოვიდან მოსულ ცნობის თანახმად გერმანიის მთავრობამ იცნო გერმანიის დეპუტატთა საბჭოები მოსკოვში და პეტროგრადში ავტონომიურ ორგანიზაციად და გადასცა მას ყოველგვარი რწმუნებულება. დანიის მთავრობა უმატებს, რომ დეპუტატთა საბჭოების აღიარება მავნებლობას მოიტანს, რადგან დეპუტატთა საბჭოები რუსეთის საბჭოთა მთავრობის ზეგავლენის ქვეშ არიან. რევოლიუციონური ასპარეზი №-ის არადის შტაბი. ოსინის მიმართულებით განვაგრძობთ წინსვლას. კუნგურის და კრასნოუფიმის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა აიღო სოფელი საია და ბერზოვაია. კუმინის მიმართულებით მტერმა ჩვენს ჯარს უკან დაახევინა.

**კომუნისტური გამოცემანი ხარკოვში.**

**კურსკი.** 7 ქრისტეშობის. ხარკოვში გამოვიდა კომუნისტური გაზეთი „დონეცკი პროლეტარიატი“ და „იზვესტია“. ეკატერინოდარში გამოდის „კომუნისტიჩესკაია ზვეზდა“ და „ვრემია“.

**სკოროპადსკის ჯარში**

**კურსკი.** 6 ქრისტ. სკოროპადსკის ჯარის ახალმა უფროსმა თავად დოლგორუკიმ გამოსცა ბრძანება, რომლითაც ყველა ოფიცერი, რომელიც არ გამოცხადდება, დაისჯება სიკვდილით. კიევიდან იუწყებიან, რომ დენიკინის მოწინავე რაზმები სკოროპადსკის ჯარს შეუერთდა და ერთად მოქმედებენ აჯანყებულთა წინააღმდეგ.

**გაფიცვები ქ. ტაგანროგში**

**ვორონეჟი.** 6 ქრისტ. ტაგანროგში ყველა სტამბის მუშა გაიფიცა. დღეს გაზეთები არ გამოსულა.

**კოოპერაციის მუშათა ყრილობა**

**მოსკოვი.** 7 ქრისტ. გუშინ გაიხსნა კოოპერაციის მუშათა მესამე ყრილობა. კომუნისტთა ცენტრალურ კომიტეტის სახელით ილაპარაკა ნოგინმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ კოოპერატორებმა თავი გაანებეს მუშათა კლასთან ბრძოლას, ახლა კოოპერატორების სულიერი განწყობილება შეიცვალა და მუშათა კოოპერაცია დიდ დასაყრდნობ ძალათ გახდება სოციალიზმის განსახორციელებლათ. ყრილობის პარტიული შემადგენლობა კომუნისტურია. ებრაელთა გაერთიანებულ სოციალისტურ მუშათა პარტიის მოსკოვის ორგაიიზაციის საერთო კრებაზე მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ამ ჟამად მხოლოდ საბჭოთა მთავრობას ძალუძს სახელმწიფოს რევოლიუციონურ და სოციალისტურ აქტიურ ძალების შექმნა მსოფლიო იმპერიალიზმთან საბრძოლველათ და სოციალისტურ წყობილების დასამყარებლათ.

# უცხოეთის ამბები
## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**მთიელთა რესპუბლიკა და გენ. ტომსონი.**

„კავკ. სლ.“ თანამშრომელთან ბაასის დროს მთიელ ხალხთა კავშირის რესპუბლიკის თამჯდომარის ამხანაგს გ. კოცევს განუცხადებია, რომ რესპუბლიკის მთავრობის წევრების მოლაპარაკება—გენ. ტომსონთან სასურველად დამთავრდა. გენ. ტომსონმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ მას და მის მისიას რწმუნებულება არა აქვს, რომ იცნოს ან უარჰყოს კავკასიის ამა თუ იმ ოლქების დამოუკიდებლობა ან და ამის გამო ვისთანმე რაიმე მოლაპარაკება გამართოს. მთიელთა მთავრობას, რამდენათაც იგი სცდილობს განამტკიცოს წესიერება გარკვეულ ტერიტორიაზე ის, ტომსონი, უცქერის როგორც ადგილობრივ მმართველობის ორგანოს. ხოლო დამოუკიდებლობის საკითხი სამშვიდობო კონფერენციაზე გადასწყდება.

**მოკავშირენი და ოსმალეთის ერები.**

„ნორ ორიზონის“ ცნობით ინგლისის ფოსტის ბიურო იუწყება, რომ აღმოსავლეთში საფრანგეთისა და ინგლისის მიზანია—განთავისუფლება ოსმალეთის მიერ დამონავებული ერებისა და დამყარება მათში დემოკრატიული მთავრობების და გამგეობის, რომელნიც არჩეულ იქნებიან ხალხის ნებით. საფრანგეთი და ინგლისი მხოლოდ ხელს შეუწყობენ ამ ერებს და ეცდებიან უზრუნველ ჰყონ მათი მდგომარეობა და სულაც არ ეცდებიან რაიმე თავის წესები ან კანონები შეიტანონ ამ ხალხის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ინგლის საფრანგეთი სიყვარულით მოეკიდება და ხელს შეუწყობს ადგილობრივ ინიციატორთა მეურნეობის აღორძინებას და სწავლა განათლების გავრცელებას და ეროვნული შუღლის მოსპობას, რომელსაც სთესდა ოსმალეთის უწინდელი პოლიტიკა.

**ენვერ-ფაშას წერილი.**

გაზ. „Le soir“-ში მოთავსებულია ენვერ-ფაშას წერილი, რომელიც მან გაქცევის წინ მაშინდელ დიდ ვეზირს იზეთ-ფაშას გაუგზავნა: „პატივი მაქვს გაუწყოთ, რომ იმ შექმნილ მდგომარეობაში, რომელშიაც ჩემს სამშობლოს სეპარატიულ ზავში მონაწილეობის მიღება მოუხდება და რომელიც იძულებით უნდა შეჰკრას, ვგრძნობ, რომ მე უსარგებლო ვარ სამშობლოსათვის. ამის გამო მივდივარ კავკასიაში, სადაც იმედი მაქვს, უფრო სარგებლიანი იქნება ჩემი ყოფნა. დიდ მწუხარებას განვიცდი იმ გრძნობების გამო, რომ არ შემიძლიან დავრჩე და ვემსახურო ჩემს რელიგიას, ჩემს ნაციას და ჩემს მონარქს, რომელთაც შევსწირე ჩემი ძალა და მთელი სიცოცხლე. თუმცა ის იმედი, რომ სარგებლობა მოუტანო მაჰმადიანთა დამოუკიდებლობის საქმეს კავკასიაში, მცირედ მაინც მიქარწყლებს ნაღველს. შემდეგში მე ვარჩევდი ისევ ჩემს სამშობლოს სამსახურს დავბრუნებოდი. გისურვებთ გამარჯვებას, იმ საქმეში, რომელიც გევალებათ ასეთ მძიმე დროში“.

# ჩრდილო კავკასია

**თერგის ოლქის მთავარსარდლის გენ. მისტულოვის თვითმკვლელობა.**

ბოლშევიკების წინააღმდეგ მებრძოლ თერგის ოლქის მთავარსარდალმა მისტულოვმა თავი მოიკლა. მიზეზია—ყაზახების დაღლილობა, მათი ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაზე გულის აცრუება, ჯარის დეზორგანიზაცია, და რღვევა. და ბოლო ხნებში ბოლშევიკების გამარჯვება იყო.

**კონტრ-რევოლიუცია გერმანიაში.**

გერმანული დელეგაციის განცხადებით „ტაიმსის“ კორესპონდენტის მიერ ამსტერდამიდან გამოგზავნილი ცნობა, რომ გერმანიაში კონტრ-რევოლიუციონური შეთქმულება აღმოაჩინეს, რომელსაც მეთაურობდა გენ. მაკენზენი, არნიმოში და ზემომი,—სინამდვილეს არ შეეფერება. ფელდმარშალ მაკენზენს არ შეეძლო შეთქმულებაში მონაწილეობა მიეღო თუნდაც იმიტომ, რომ ის თავისი ჯარებით ამ ჟამად ჰუნგრეთის შუა გულში იმყოფება და გერმანიასთან არავითარი დიმოკიდებულება არა აქვს.

**ვილჰელმის ბედი**

ნიუ-იორკიდან იტყობინებიან, რომ შეთანხმების სახელმწიფოთა მთავრობების წრეებში ვილჰელმის ბედზე მსჯელობენ. ჰფიქრობენ, რომ ვილჰელმს ინგლისის მთავრობას გადასცემენ სამართალში მისაცემად როგორც მასსიური უბედურების მიზეზს.

**ფრანგულ ფრანკის კურსი რუსეთში.**

მთავარსარდალმა ღენ. დ'ესპრემ ფრანგული ფრანკის კურსი რუსეთში ორი მანეთი დააწესა. ასეთი კურსის დაწესებას მიზნად აქვს რუსული მანეთიანის ფასის აწევა.

**რევოლუცია მთაშავეთში.**

მთაშავეთის მეფე ნიკოლოზი ტახტიდან გადააყენეს და თვითონ მთაშავეთი სერბიას შეუერთდეს.

**ჰოგენცოლერნები.**

გერმანიის ახალ მთავრობამ ჰოგენცოლერნებს წასვლის ნება მხოლოდ იმ პირობით მისცა, თუ თან არავითარ ქონებას არ წაიღებენ.

**დიდი რუმინეთი**

რუმინეთის გაზეთების ანგარიშით დიდ რუმინეთს ეჭირება 329,460 კვ. კილ. სივრცე, ხოლო მისი მოსახლეობა 18,710,973 იქნება.

„დიდ რუმინიაში“ შევლენ შემდეგი ოლქები: ქ. ლდენიცა, ვალახია, მოლდავია, დობრუჯა—138,000 კვ. კილ. სივრცით და 7.771,000 კაცით, ბესარაბია 44,400 კვ. კილ., ბუკოვინა, არდეალი, ბანაცი, კრიზინა, მარმაროში და ტრანსილვანია. ეს სამი უკანასკნელი შეიცავს 147,000 კვ. კილ. და 8,350,000 მოსახლეობას.

# ახალციხეში

**4 ქრისტეშობისთვე**

შარშან ამ დროს ვიყავ მესხეთ-ჯავახეთში; აღფრთოვანებული ვიყავი იქაურ მცხოვრებლებით; ნამდვილი ქართველი სული და გული მხოლოდ იქა ვპოვე; მათი ზნე-ჩვეულება, ლაპარაკის ყაიდა, ყოველივე სიდიადით იყო აღვსილი... ვერ წარმომედგინა მაშინ თუ ოდესმე ეს მხარე საქართველოს სხეულს გამოეყოფოდა; ან როგორ გაიმეტებდა ქართველი ერი თავის განათლების კუთხეს, თავის ღვიძლ ძმას? მაგრამ უკულმართმა ბედის ტრიალმა მოგვაცალა ეს მხარე, მოსწყვიტა დედა საქართველოს... მაგრამ მწამდა, რომ წელში მოხრილი საქართველო კვლავ გაიმართებოდა, შვილი მისი კვლავ იცნობდა შეგინებულ სამშობლოს და მის წყლულის გასამთელებლად ხმას აღიმაღლებდა.

და ჩემი იმედი ასრულდა: ქართველმა ერმა იცნო სამშობლო, ქართველი გამოფხიზლდა, შეიშმუშნა. თეთრი გიორგის მხედრობამ იარაღი შეაცლარუნა და პირმცინარ მზის სხივებზე ნაფერი ხმალი შეაპრიალა. გულში აინთო სამშობლოს სიყვარულის ძრიელი ცეცხლი და ამ სიყვარულით მიადგა ქართველი მხედრობა ახალციხის კარებს. წინ მიუძღოდა ნაცადი ჭაღარა სარდალი. მისი იმედით სავსე თვალები ამხნევებდა პირტიტველა მხედრობას. სიტყვაობა მეტი იყო, ყველა გრძნობდა დიდ დანიშნულებას.

სხვა და სხვა საქმეების გამო შეძლება მქონდა ჩემის თვალით მეხილა ახალციხისკენ გალაშქრებული თეთრი გიორგის ჯარი. აწყურს იქით დავეწიე. მინდვრათ დაეცათ კარავი. სადილობდნენ. სანახავი იყო იშვიათი. სამი ათასზე მეტი ახალგაზრდა ქართველი შეიარაღებული თავით-ფეხამდე მოდიოდა საყვარელ კუთხის დასახსნელად. ყველას ღიმი უკრთოდა სახეზე. აგერ მესხ-ჯავახელნი, ცალკე რაზმია მათი, ჭაღარანიც ურევიან, მოხუცნი, შვილები გვერდში ამოუყენებიათ და მიდიან, მიდიან გამმაგებულნი და იმედიანნი, რომ მთელი საქართველო მათთან არის. აგერ ერთ ოცეულს სადილი გაუთავებია და ზურნა დოლით თავს ირთობს: სუბუქათ და კოხტად უვლიან ლეკურს. ეტყობათ სული მათი განათლებულა და გასუბუქებულა; მშვენიერი ტკბილი ქართული-ღა ისმის: არც რუსული განკარგულება და არც რუსული სიტყვა ყურს აღარ ხვდება... დაჰკრეს განგაში... წამოიშალა ჯარი. სულ მოკლე ხანში დამკვიდრდა, გაეწყო. სარდალთა ისმის განკარგულება. „ლეგიონი წინ“... და მწკრივათ, ლაზათიანად, მწყობრად გაემართა გზისკენ ლეგიონის ასეული. რა აღმტაცია მათი ლაზათიანობა! თვალში შესცქერიან სარდალს და უმალ ასრულებენ მის ბრძანებას. რა ამაყია ყველა ამ დროს, გულზვიადი და თამამი... ლეგიონს მიჰყვება მეოთხე პოლკის ასეულები, მათ კიდევ პირველი პოლკი, უკან მეზარბაზნენი...

ვუცქერ ჯარს და ვერ გამოვრკვეულვარ, ნუ თუ ეს ქართველრი ჯარია, ნუ თუ ეს ყოველივე ქართველი ხალხის შემოქმედებაა? თითქოს ამ რამდენიმე თვის და კვირის წინათ პოლკებში თითებზე ჩამოითვლებოდნენ ჯარის კაცები? და განა როდის მოასწრეს, როდის შეჰქმნეს ეს ყოველივე? რა გაწრთვნილნი, მომზადებულნი, წელში გამართულნი! ვაშა ჩვენს აფიცრობას, რომ ამ მოკლე დროს შეჰქმნეს ესეთი ჯარი.

ბავშვივით ამიტანა სიხარულმა და ხან ლაშქრის თავს მოვექცეოდი, ხან ბოლოს, რომ ყოველივე დამენახა, რომ არა გამომრჩენოდა რა. აგერ ის პოლკოვნიკი თებერვალში თვალცრემლიანი რომ იდგა ერთ ყაზარმის წინ და უმზერდა გაბეცებულ ჯარის ბრბოს, რომელიც ტანისამოსის საწყობს შესეოდა. „ვაი საწყალო საქართველოვო“... ამოიოხრა, გადმოჰყარა ცრემლები და გამობრუნდა... დღეს კი რა ბედნიერია, რა უზომო ბედნიერია, რომ აღარ უხდება ცრემლის ფრქვევა. ნუთუ მის ბედნიერებას შეედრება რამ. ამაყად მაღლა თავ-აღებული მიდის ჯარი მწყობრად, მწკრივი არ იშლება, სარდალნი თავ თავის ადგილზე არიან... ხუთი ვერსი დარჩა ახალციხემდე, გამოჩნდენ ბავშვები, მხიარულათ და სიცილით უმზერენ მიმავალ ჯარს. ხალხი, ჯერ კანტი-კუნტად სჩანს, თანდათან მატულობს. და მალე კედელი კეთდება გზის აქეთ-იქით...

სიცილი, სიხარული, აცრემლებული თვალები... „ქრისტე აღსდგა, ქრისტე აღსდგა“... ვიღაც მოხუცებული გადაეხვია ახალგაზრდას და ტირილი დაიწყო. ჟრუანტელმა დამიარა. შევეკ. „რა იყო, ბიძია, გიხარიან?“... „რაღას მეკითხები, თქვენს მზეს კი შემოვევლე. დღეს დავიბადე მეორედ, დღეს გათენდა ჩვენთვის ნათელი დღე. დიდება თქვენს მოსვლას, მშვიდობა ქართველებო, ინათლოს თქვენი მშობლის ხელმა რომ არ დაგვივიწყეთ“... ჟრიამული აღარ მაცლის რომ ბოლომდე უსმინო... აგერ ქალი და ბავშვი, ვაჟკაცი და მოხუცი: ეტყობათ სოფლელები არიან. მათკენ ვეშურები ვეკითხები. „უდელები ვართ ბაძიავ, უდელები... გავიგეთ, შემოგეგებეთ ძვირფასო ძმებო“. უდე ახალციხეს 20 ვერსზეა მოშორებული... მთელი ახლო-მახლო სოფლები აქ არის... აღარ იციან რა სთქვან, რა ილაპარაკონ, პასუხს ვერ ახერხებენ შეკითხვაზე. ბევრს ცრემლი ადგება, გული უჩუყდება, ტირილი მოსდით, ლაპარაკს ვერ ახერხებენ. ზოგი პასუხის მაგივრად გულ ნათლად იცინის და შემოგხარის. „დიდება შენ, ძვირფასო საქართველო“. „აკი ვთქვი საქართველოს ხალხი არ დაგვივიწყებს მეთქი“. ღმერთო ჰფარავდე ჩვენს სამშობლოს“. „იხარე ტკბილო საქართველო“. ისმის ირგვლივ. აქეთ თუ იქით. და ჯარი კი ღიმ მორეული და ამაყი მიდის ამ ხალხის ორ კედელშუა და გული უფრო უზვიადდება, სული მისი მეორედ ინათლება.

ვის არ შეაყვარებს სამშობლოს ეს სურათი, ეს ლოცვა და ეს კურთხევა? ქვაც რომ იყვეს, მის გულსაც მოალბობს, გაყინულს გაალხობს. და ჭეშმარიტად, რომ ემბაზია ეს ყოველივე ახალგაზრდა საქართველოს ჯარისათვის.

აგერ ქალაქს მიუახლოვდით და გამოჩნდა ზღვა ხალხი და ქართული დროშები. რა ამაყად იშლებიან და ფრიალებენ ჰაერში. „მადლიერი მესხეთ ჯავახეთი სალამს უძღვნის ძვირფას საქართველოს ჯარს. 1918 წელი ქრისტეშობის 4“. ჯარი შედგა. ალბათ პურ მარილს მოართმევენ. ლაშქრისა სარდალი ღენერალი გელოვანი ცხენზე ზის: მას შემოჰხვევიან სიტყვას ეუბნებიან. მინდა მივიდე, მაგრამ ეს ზღვა ხალხი ვერ გამირღვევია. აგერ ხელში დროშა დაიჭირა „გაუმარჯოს საქართველოს“! ისმის გუგუნი ხალხისა და ეს გუგუნი ეფინება არე მარეს, მთასა და კლდეს.

აწყურიდან წამოსულებს შეუერთდენ მოწინავენი, რომელნიც წინა დღით წამოსულიყვნენ და ახალციხის ქვემოდ დაებანაკათ. ჯარი იცინის, ჰხარობს. „ახ ნეტავი არ წასულიყვნენ ის წუწკალები და ერთი გვეფორიაქებინა როგორც წესია“... ნანობს ერთი თათრების წასვლას. „უპატრონო როგვნახეს ბიჭო დაგვიბრიყვეს, აბა ვნახოთ ეხლა რას „გვიზამენ“. „მე რომ ისინი ვიცი, ღმერთს ვფიცავ, ერთ ლუკმათ არ გვეყოფოდნენ“... „ჰაი გიდი, პატარა საქართველოვ, დაბრიყვება მოინდომეს შენი?“

მზე კარგა გადიხარა, რომ ჯარი დაიძრა, ალლუმის ნაბიჯით გაიარა ახალციხელთა წინ. მუსიკა, ხალხის მხიარული გუგუნი და სიყვარულით გამოწვდილი ხელები ჰხვდებიან მიმავალ ჯარს. პირმღიმარი დგას ჭაღარა შერეული გენერალი ახალციხელებით გარშემორტყმული და სიყვარულით უმზერს მიმავალ ამაყ ჯარს.

„დიდება ძვირფასო საქართველო, მშვიდობა შენ მოსვლას საყვარელო სამშობლო“... ისმის ირგვლივ მხიარული ხმანი.

ამ გვარ აღტაცებით შევიდა ჯარი ახალციხეში ქრისტეშობისთვის ოთხს.

დიდი ზეიმით და სიხარულით შეჰხვდა მას მესხეთ-ჯავახეთი.

**ნ. კეცხოველი**

# კორესპონდენცია

## სამხედრო გზა

საქართველოს ცხოვრებაში სამხედრო გზას დიდი მნიშვნელობა აქვს, იგია ერთად-ერთი [illegible] თან ჩრდილო-კავკასიასთან პოლიტიკურ და ეკონომიურ დამოკიდებულებისთვის და ამავე გზით მოხდა, რომ საქართველომ ერთი მხრით თავიდან აიშორა სპარსეთ-ოსმალეთის შემოსევა და მეორეთი—რუსეთს შეეყარა. სტრატეგიულად ხომ მას მუდამ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, განსაკუთრებით დარიალის კარები იყო გადამწყვეტი საქართველოს ბედისა. რუსეთმა ისარგებლა სამხედრო გზის მნიშვნელობით. ამ გზიდან გაშალა თვისი იმპერიალისტური ფრთები კავკასიონის ქედის სამხრეთით.

დიდია ამ გზის სარგებლიანობა ყველასათვის, ვის ხელშიაც არ უნდა იყოს იგი და საქართველოსათვისაც.

სრული შეგნებით უცქეროდა დიდი რუსეთი სამხედრო გზას და ამისთვის იყო, რომ იგი ერთ წუთსაც არ აკლებდა მას თავის მზრუნველობას, არ ზოგავდა მას მოვლა-კეთებაზე ფულს და ყოველწლიურად მოურიდებლად ხარჯავდა მილიონ-ნახევარ მანეთს. ძველად, ვიდრე რუსეთს ბოლშევიზმი გააბრუებდა, გზაზე გარკვეული სისტემით სწარმოებდა მუშაობა. იგი გაყოფილი იყო ჩრდილოეთ და სამხრეთ დისტანციებათ, მუშაობდნენ ინჟენრები, ტეხნიკოსები, მათი კანცელარიები და გზის მუდმივი მუშების „არტელები“. განუწყვეტლივ მზადდებოდა ქვახრეშილი, მუშაობდა სატკეპნი მანქანები „კატოკები“, ამაგრებდნენ გზის ნაპირებს, ჯებირებს ხიდებს, სწმენდნენ რუებს, რომ გზა ნაწვიმარს არ წაერეცხა და სხვა. საჭირო ადგილებში აშენებულია მუშებისთვის საცხოვრებელი ყაზარმები, ამ ყაზარმებიდან ზამთრობით გზა მუდამ იწმინდებოდა თოვლის ნაშქერის და ზვავებისაგან, რადგან ჩრდილოეთით ზამთარი ადრე იწყება და ბევრ ადგილას თოვლის მოსვლის შემდეგ გზა შეიკვრება ხოლმე და მგზავრობა შეუძლებელი ხდება.

თვითონ გზა მდებარეობით და ნიადაგის სიფრხვრიევით მეტად ცვალებადია. თბილისიდან კავკავამდე იგი არაგვისა და თერგის ხეობის მთების ძირულებზე მიდის გაკრული და ზოგან მთის ქედებზედაც გადადის. ყოველი წვიმა ავდარის დროს მთის ხევებით მოხეთქილი წყლით ირეცხება და ნიაღვრებისაგან ჩამონაზიდ ქვალორღთ და ქვიშით იფარება. არაგვი და თერგიც მოუსვენარ ტალღებით მას მუდამ ნაპირებს ულრღნის, უმხღვლევს, ანგრევს დამბებს, ჭებირებს და ხიდეებს აზიანებს.

ასეთი მდგომარეობის გამო მისი კეთება დიდ შრომას და ხარჯს მოითხოვს, და მუშაობის მცირე ხნით შეჩერებაც კი დიდათ საზიანოა. თუ დროზე ყურადღება არ მიექცია ამ გზას და გაფუჭებული თუ მალე არ შეკეთდა, მის აღდგენას გაათკეცებული შრომა და ხარჯიც აღარას უშველის. არაგვი თუ ერთხელ დააზიანებს და პირს აუხსნის, ბევრჯელ 50—100 საჟენზე მთლად მოჰგლეჯს ხოლმე გზას და საჭიროდ ხდის გადახვევას და ახალი გზის გაჭრას. ეს კი დიდ ხარჯებს მოითხოვს ვიდრე თავდაპირველი შეკეთება და გამაგრება. დღეს სამხედრო გზა უნუგეშო მდგომარეობაშია. მუშაობის სისტემა კარგა ხანია დაირღვა. მუშებიც დაიფანტნენ ზოგი შტატის შემცირებისა ზოგიც ფულის მიუღებლობის გამო და დარჩენილი მათი მცირე რიცხვიც ისე ეკიდება მას, როგორც ჩვეულებრივ „საბეგრო“ საქმეს. რვა საათის მაგიერ რვა ჩარექსაც აღარ მუშაობენ. გზა ძალიან დაზიანებულია, ქვახრეშილი წარეცხილია, მრავალგან ნიაღვრებმა ჩახრამა და მგზავრობა მეტად გაძნელებულია. ზამთარი იწყობა და გზის მდგომარეობა უარესდება, მისი შეკეთება კი „სხვათა შორისად“ სწარმოებს. თოვლი და ნიაღვრები იმდენად აზიანებენ, რომ მალე მგზავრობა შეუძლებელი გახდება. ეს კი, თუ მომავალზედ არ ვიფიქრეთ, ეხლავე საგრძნობი შეიქნება განსაკუთრებით თბილისისთვის, რომელიც ავად იყო თუ კარგად ამ გზების საშუალებით კავკავიდან მოტანილი ფქვილით რამოდენიმედ მაინც იკვებებოდა. ხოლო რაც შეეხება მომავალს, საქართველოს დიდი დამოკიდებულება ექნება ჩრდილოეთთან და ამ გზის აუცილებლობას ვერ ასცდება მეტადრე ეკონომიურ დამოკიდებულებაში.

**ჩვენი გაზეთის კანტორასთან დაარსდა „საქართველოს რეპაქციის ფონდი.**

**დაეხმარეთ ფ ო ნ დ ი ს გაძლიერებას!**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ უმჯობესია გზას ეხლავე მიექცეს ჯეროვანი ყურადღება სისტემატიური მუშაობის აღსადგენად შეძლების დაკვალად მაინც, თორემ ის გარემოება, რომ მუშაობა ნაკლები ყურადღებით სწარმოებს, გზას იმდენად აზიანებს, რომ მის ერთბაშად შეკეთებას მილიონები აღარ ეყოფა და ეს კი უფრო საზარალო და საშიანო იქნება, ვიდრე ახლავე წესიერი მუშაობის მოწყობისათვის ხარჯების გაღება.

ნ.

## საქ. ტექნიკური საზოგ. სატერმინო კომისიას

სამეცნიერო ტერმინოლოგიაზე.

(იხ. „საქ.“ № 235).

II.

ქართული ენა იმდენად მეტყველი და მდიდარია, მოკლე სიტყვოვანი, მჭრელი და მხატავი, რომ მას მთელ განათლებულ ევროპაში ტოლი არა ჰყავს უძნელეს აზრების და ურთულეს ცნებების რამდენიმე ნაირად და მშვენილობის ყოველგვარ ელფერით გამოსახვაში. პირდაპირი ცოდვა იქნება ამ სიმდიდრის უარყოფა და მის მაგიერ ხალხის ენაში აჯარება ნარევ ბერძნულ-ლათინურ სიტყვების ჩამატება, მით უფრო, რომ ისინი ჩვენი ენის კანონებს და არსებას სრულიად არ უდგებიან და ყოვლად მოუხეშავად იღებენ ჩვენებურ თავ-ბოლოებს. ხალხი მათ „გაფუჩიკებულ“ სიტყვებს ეძახის.

ჩვენი ენა სრულიად განცალკევებული არის ქვეყნიერების ენებისა, მისთვის ყოვლად უცხოა ევროპიული სახელები: ელემენტი, ფაქტორი, აგენტი, კონტაქტი, ფაზა ან რეაქცია, რაც ეს ევროპიელისთვის მკვიდრი, ადვილად გასაგები და თითქმის მშობლიური სიტყვები სამუდამოდ უცხო იქნება ქართულ ყურისთვის. დიდი შეცდომაა ფიქრი, ვითომ ჩვენებური თავ-ბოლოების წამბმით შესაძლო იყოს ამ სახელების ჩვენ ენაში გადმონერგვა. ისინი მასში ვერც ჩაიზრდებიან, ვერც იხარებენ, ხელოვნურად ჩარეულნი კი ყოველთვის განცალკევებულ და გამაუშნოებელ გარჩამატებათ დარჩებიან მის სიანკარეში.

რეაგენტის გაჰიდრატება, კომპონენტის დაკრისტალება ან პროცესის იზოლირება სწორედ ისეთივე შეუბრალებელი დამახინჯება არის რუსთველის და აკაკის ენისა, როგორც ფაიტონის დაზანიატება და პროსპექტზედ წამოგულავება. ნეტავი თავის მიზანს მაინც აღწევდეს ეს სიუშნოე და მართლა ამდიდრებდეს ან ამეცნიერებდეს ჩვენს ენას.

სამწუხაროდ სწორედ ამისი წინააღმდეგი ხდება: ეს ენების რევა ამცირებს და არა ზრდის მეცნიერების შინაარსის სიღრმესაც, მის სახელწოდების მნიშვნელობასაც. ხალხის გონებაში-კი თანდათან ცვლის ამ უცხო და გაუგებარ სიტყვებს მნიშვნელობას და ჩვენ მომავალ ენისთვის ასეთ საამო მარგალიტებს გვიმზადებს, როგორიც ამხანაგის გაპრეზიდიუმება და მისი კომიტეტად ამორჩევა არის.

საცოდავი ჩვენი ხალხი, რა ენით ელაპარაკებიან მას განათლებული თანამოქალაქენი: დემოკრატიულ რესპუბლიკის პარლამენტის სოციალისტურ და ბურჟუაზიულ ფრაქციების კოლლექტიური რეზოლიუციის დეკლარაცია, სფეროს ცენტრიდან ეკვატორიულ ხორდაზე დაშვებულ პერპენდიკულიარის რადიუსობა და სხვ. ეს ხომ ძველი ბაბილონის კოშკის ამბავია, ახლა კი დრო არის, ნუ დავივიწყებთ მის გამაფრთხილებელ მაგალითს!

—

ჩვენს ხალხს რუსული სწავლა ვაივაგლახად მიაჩნდა. განათლების კარი მისთვის მაგრად ჩაკეტილი იყო; მთელი ხიჭი თუთიყუშურ გაზეპირებას და უგულო ცნობების შეძენას უნდებოდა. ყოველი ჩაფიქრება ან ჩაკვლევა მის ყურადღებას აშორებული ჰქონდა. მას წარმოდგენაც არა აქვს, თუ რა არის ნამდვილი განათლება, ცხლანდელი, რომ ზოგადი, სიამოვნებაზედ დამყარებული სწავლა ან რა არის მეცნიერება, რა შეადგენს მის შინაარსს, ასეთ დამახინჯებულ უცხო სიტყვებით გამოსახულს?

ქართული ენის მოსპობამ ხალხი სულიერად წელში გამართა, ფრთებით შემოსა და ახალ იმედებით აავსო. ყველა ეს იმედები ახალ წესზე და ახალ განათლებაზეა დამყარებული.

მოახლოვებულია მომენტი, რომელსაც საქართველოს განათლების და მეცნიერების იღბალი უნდა გადასწყვიტოს: ხალხი მოუთმენლად ელის ქართულად, ესე იგი გასაგებად დაწერილ „ქაღალდებს“—წიგნებს. ელის თავის შვილებისთვის „გასაგებ სწავლას“; ნასწავლ თანამოქალაქეებიდან ელის ყველაფრის გასაგებად ახსნას. მას იმედი მოეცა, შეიძლება რუსულ სწავლის ბრალი ყოფილა, მას რომ აქამდის არც საბჭოში ნალაპარაკევი, არც სკოლაში ნასწავლი კარგად არ ესმოდა, გინდ ქართულ გაზეთებში „გადმოწერილი“, გინდ ლექციებზე ან კრებებზე ახსნილი.

თუ ეხლაც ამ მხურვალე სურვილის დასაკმაყოფილებლად ჩვენ მას ქართულ მეცნიერულ ტერმინების სახელით ყოვლად უცხო სიტყვები, ესე იგი პურის მაგიერ ქვა მივაწოდეთ, ეს შეუნდობელი დანაშაული იქნება. ხალხი საბოლოოდ დარწმუნდება, რომ ცოდნა მართლაც ყოვლად გაუგებარი და არა „სამისო“ ყოფილა. განათლების ხალხში ჩანერგვის საქმე საქართველოსთვის სამუდამოდ წაგებული შეიქმნება.

ერთხელ გაფუჭებული ძნელად სწორდება. თუ ხალხი ამ უმთავრეს გამოცდაში კიდევ ერთხელ დაშინდა, მას სწავლა-განათლების იმედი და თავის გონების ნდობა სამუდამოდ დაეკარგება.

ჩვენი ხალხი სულიერად მდიდარი და ნიჭიერია. ძნელ მომენტებში ის არ იღუპება და გონებას არ ჰკარგავს, როგორც ეს აშკარად გამოჩნდა ამ მოკლე ხანში. მაგრამ ქარის მოტანილს ქარივე წაიღებსო,—ყოველი საჩქაროდ ჩაგონებული აგრეთვე მალე დასჭკნდება და გაჰქრება, რადგანაც მას არც ფესვი აქვს, ვერც ნაყოფს ამოიტანს.

მარტო თავის დროზედ და თავის წესით ნათესი ან დარგული ხარობს და ჰყვავის, მხოლოდ ის—კარგად მოვლილი, გვაძლევს ჭირნახულს.

ჩვენ ხალხის განათლებისთვის თესლსაც და ნერგსაც ევროპის უკანასკნელ სიტყვაზედ მოწყობილი ნამდვილი ქართული სახელწოდება წარმოადგენს.

მთელ მეცნიერების ყოველ ცალკე დარგის დასახელებიდან უკანასკნელ წვრილმანის ჩამოთვლამდის ახალი ტერმინოლოგია ქართული უნდა იყოს.

მხოლოდ ამის ასრულების შემდეგ შესაძლო გახდება იმ ძირითად ცვლილებების განხორციელება, რომლის ცხოვრებაში გატარებას ასე მხურვალეთ შეუდგა კიდეც ჩვენი საზოგადოება და მთავრობა.

ახალი წიგნები იწერება, ითარგმნება, იბეჭდება, სასწავლებლებს „აღროვნებენ“, მასწავლებლების ამისთვის მზადება საჩქაროდ მოწყობილია, საყოველთაო განათლების შემოღება გადაწყვეტილია, ამისთვის ყოველმხრივ მოღვაწეების გამანათლებელი უმაღლესი სასწავლებელი დაარსებულია.

ენა—კი ყველა ამისთვის ჯერი არსადაა!

ეს საქმის ბოლოდან დაწყებას ჰგავს, ამიტომ მის არევას და შეფერხებას გვიმზადებს.

სკოლის გაეროვნება ენის გაეროვნებით უნდა დაიწყოს.

ამას უნდა მოჰყვეს სასწავლო და ახალგაზდობისთვის საკითხავ წიგნების სრული გაეროვნება, მათი საჩქარო და ფას-დაუზოგავი ახლად გამოცემა.

ყველა ეს ენის შექმნამდის შეუძლებელია.

მხოლოდ იმ ახალ წესს, მეცნიერების მხოლოდ იმ დარგს ექნება მომავალი ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ხალხს თავის მშობლიურ ენით დაელაპარაკება და მის წრეში მძლავრ ფესვებს გაიდგამს.

ეს განსაკუთრებით შეეხება მეცნიერების იმ შტოს, რომელიც თითქმის სრულად ტერმინებზე და ფორმულებზეა დამყარებული./ მათემატიკა, ქიმია და ფიზიკა მთელს ხალხს დააფთხობენ, თუ თავიდანვე ყველა უცხო სიტყვები არ გამოიცვალეს თავის საკუთარ სახელებიდან უკანასკნელ ტერმინამდის, და თუ სრულად არ შემოილეს ქართული ენა თავის შინაარსის გამოსათქმელათ.

ამ წესის უარყოფა ან ღალატი საძირკველს გამოაცლის მთელ ჩვენს მომავალ წინსვლას და განათლებას.

—

ეს ხომ ახალ პედაგოგიის ანბანური ჭეშმარიტება და ძირითადი პრინციპი არის, რომ ყოველ ბავშვის განვითარება, მის ყოველმხრივი სულიერი ზრდა და მთელ მის ბუნების უხვი გაუმჯობესება სრულად დამყარებულია ბუნებასთან დაახლოვება და შეხლებაზე, მის ყოველმხრივ გრძნობა გაცნობაზედ და მის ენის თანდათან შესწავლაზე.

ეს არის მთელ ეხლანდელ აღზრდის საფუძველიც, უნაყოფიერესი თესლიც. ამავე გზით, ესე იგი ბუნებაზე თვალის ახელით, მის გაცნობა-გამოკვლევით და შემდეგ მის შესწავლით უნდა იწყებოდეს ხალხის განათლებაც, თუ გვინდა, რომ ის ნამდვილი, საფუძლიანი, სამუდამოდ გამოსადეგი და ასაყვავებელი შეიქმნეს. მხოლოდ ეს იქნება ხალხის სულიერი აღზრდის ნამდვილი გზა, და არა უკუღმა ბოლოდან დაწყებული და ამიტომ კიდევ ერთხელ თავიდან დასაწყისი საქმე. მხოლოდ ამ გზით შესაძლია ხალხის მომზადება, სწავლა-განათლების შემდეგ ხარისხების მიღებისათვის.

ჩვენ მთა-მადნით, მზე-წყლით მდიდარს, განძით სავსე ქვეყნისთვის ამ ბუნების შესწავლას, ყოველ სხვა შინაარსის გარდა ის მნიშვნელობაც აქვს, რომ ამ ცოდნის შეძენით ხალხს თვალები ეხილება თავის ქვეყნის ბუნების უხვად გაფანტულ საუნჯის ზღაპრულ სიმდიდრეზე. შეუმჩნევლად, ბუნებრივად გადადის ის თავის გამდიდრების და ეკონომიურ განთავისუფლების იმ ახალ გზაზედ, რომელსაც ერთად-ერთს ელის ბრწყინვალე მომავალი კულტურულ კაცობრიობაში; ეს არის ძარცვაგლეჯის მაგიერ საკუთარ ქვეყნის ბუნების ყოველმხრივი ამუშავება და მისი უღრმესი გამოყენება—„უტილიზაცია.“

ბევრს ეს პირველ შეხვედრაზე ეუცხოება, მაგრამ ამ საქმეშიაც თავიდა-თავი ღვაწლი მტკიცე მეცნიერების ტერმინოლოგიამ და მის პედაგოგიურ პოპულიარიზაციულ მხარეს მიუძღვის. ტერმინების მნიშვნელობის ამ მხრის დავიწყება ღრმა და გამოუსწორებელი შეცდომა იქნება.

დედებმა, მამებმა და შვილებმა, დიდიდან პატარამდი ყველამ უნდა დაინახოს და გაიცნოს ბუნება, უნდა იგრძნოს, დააფასოს და გამოიყენოს მისი ძალა და სიმდიდრე, რომელთაც ჩვენს საუკუნეში მხოლოდ ერთსა აქვთ ღონე შეარჩინონ ერს თავისუფლება და კეთილდღეობა, ამდენ მსხვერპლით ნაშოვნი ამ ბოლო დროს.

მხოლოდ ასეთ თავისუფალ, სხვა ერისაგან დამოუკიდებელ ნიადაგზე შეუძლია აყვავება საქართველოს უმაღლეს სწავლას და არავითარ პირობებით არ შევიწროვებულს საკუთარ წმინდა მეცნიერებას. ეს ყველაფერი ჯერ შორს არის. ამისთვისაც უპირველეს ყოვლისა საერთო განათლების ნიადაგი უნდა მომზადდეს და დაიხნას—და ხვნის იარაღი—ენა—უნდა მოიჭედოს.

ამ მომავალ ახალშენში ქიმიას და მთელ ტეხნიკას იმდენად დიდი ადგილი უჭირავთ, რომ მათ პირველთ ეკუთვნის ქართულ ტერმინოლოგიის ჭეშმარიტ და ერთად-ერთ ნაყოფიერ გზაზედ დაყენება.

თავის ტერმინოლოგიის შედგენით ქიმიამ პირველმა უნდა დაამყაროს საქართველოში ის უმაღლესი და უნაყოფიერესი სინტეზი ახალ სწავლა-განათლებისა, ეკონომიკის და მტკიცე მეცნიერების გამოყენებისა, რომელიც მთელ ჩვენს ქვეყანას სულს ჩაუდგავს და მძლავრ ფრთებს შეასხავს.

სწორედ ისე, როგორც ამავე ქიმიამ—ფიზიკით მოსილმა და მათემატიკით მძლავრმა ევროპაში მთელი მტკიცე მეცნიერება აამაღლა, შეაერთა, აიყოლია და შეუჩერებლად წამართა ბუნების უზენაეს ფილოსოფიის თვალუწვდენელ მაღლობისკენ.

რუსუდან ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა.

(შემდეგი იქნება)

## სამაჰმადიანო საქართველოს გამანთავისუფლებელ კომიტეტის მოწოდება

ძმებო! მაჰმადიანო ქართველებო! დადგა დრო ძველი შეცდომები გავასწოროთ. მოვიხსნათ მძიმე უღელი თურქების ბატონობისა, მოვიშოროთ ის შერცხვენა, რომელიც თავს დაგვატყდა; მოვიშოროთ ჩვენი მძარცველები, ამკლებლები და შემარცხვენელნი. დადგა დრო, როცა შეგვიძლია ჩვენი საქმე, ჩვენი ბედი თვითონ მოვაწყოთ.

თქვენ გეცოდინებათ, ომი გათავდა, ოთხთა კავშირს ჯერ გამოეცალა ბულგარეთი და შეურიგდა ინგლისელებს და ფრანგებს, მას მოჰყვა ავსტრია. ბოლოს გერმანიამც იარაღი დაყარა. ოსმალეთი კიდევ ადრე დაეცა, ის დათანხმდა ყველა პირობებს, რომელიც ინგლისმა წამოუყენა. უნდა აჰყაროს იარაღი მთელ თავის ჯარს, მხოლოდ შიგნით მცველები დასტოვოს. უკვე გახნა ჩანაკალე და ინგლისელები შემოვიდნენ სტამბოლში. ოსმალეთმა უნდა დასცალოს ყველა დაჭერილი ადგილები და დაბრუნდეს თავის ძველ საზღვრებზე.

ამგვარად, ოსმალთა ჯარი უნდა გავიდეს ჩვენი ქვეყნიდანაც, უნდა დასცალონ ახალციხე-ახალქალაქის მაზრები, ქობულეთი, აჭარა, მურღული, ბათომი, გონია. კარგა ხანია ისინი უნდა გასულიყვნენ ჩვენი ქვეყნიდან, მართალია ნელ-ნელა გადიან, მაგრამ რაღაცა ფეხს ითრევენ, კიდევ ახალს ხიფათში ჩაგვაგდებენ.

ჩვენში ბევრი ხალხის მტერი ცუდ ხმას ავრცელებს. გვეუბნებიან ქრისტიანი ქართველები შურს იძიებენ, გვემტერებიან, დაგვეცემიანო. ყველაფერი ტყუილია. ჩვენ თავდები ვართ, რომ ქრისტიან ქართველებს მხოლოდ ჩვენი კარგი უნდათ, არავითარი შურის ძიება, არავითარი დანაკარგის ძებნა არ იქნება, ძველი ყველაფერი სულ დავიწყებულია ძ ქრისტიანი ქართველობა ძმურ ხელს გვიწვდის. თქვენ თურქის აფიცრები გატყუებენ. სტამბოლში ძველი მთავრობა დაეცა. ენვერი, თალაათი და მათი ამხანაგები გაიქცნენ. ჩვენში დარჩენილი ითთიჰადის კაცები ახლა ცდილობენ დროებით თავი შემოგვაფარონ. არ დაუჯეროთ მათ, არ აიღოთ იარაღი. არ დასტოვოთ ჩვენში ჩვენი ნამუსის შემარცხვენელი თურქის აფიცრები და ჯარის კაცები, არ მისცეთ მათ ნება ჯარის ტანისამოსი დაყარონ და ჩვენებურად ჩაიცვან. ოსმალებს ნუ აჰყვებით, თორემ ახალ უბედურებაში ჩავარდებით. ოსმალეთი ინგრევა, არაბისტანი მოშორდა. თვითონ ოსმალეთი აირ-დაირია, გალარიბდა და შეწუხდა. გურჯებს, მაჰმადიან ქართველებს თურქებისაგან ხეირი არ აქვთ. ნუ გადავეკიდებით ჩვენ ძმებს, ქრისტიან ქართველებს, შეუერთდეთ საქართველოს. მთელი ქართველობა ჩვენ გვაძლევს ფართო ავტონომიას, ფართო თვითმართველობას, ყოველივე ჩვენ შინაურ საქმეებს ჩვენ თვითონ მოვაწყობთ. ჩვენი რჯულის საქმეები, ჩვენი მედრესეები, მართველობა ჩვენ ხელთ იქნება. მხოლოდ ქრისტიან ქართველებთან გვექნება საერთო საზღვარი და საერთო საქმეება. არავინ მოგატყუოთ, ჩვენ რჯულის საქმეებში ქრისტიანი ქართველები არ ჩაერევიან. მაშ, ძმებო, ნუ აჰყვებით თურქებს და მათ დამქაშებს. ჩვენ საქმეებს ჩვენ თვითონ ჩავუდგეთ სათავეში და ჩვენ ძმებთან, ქრისტიან ქართველებთან ერთად, მოვაწყოთ ჩვენი მშვიდობიანი და მყუდრო ცხოვრება.

გაუმარჯოს თავისუფალ სამაჰმადიანო საქართველოს თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოში!

გაუმარჯოს თავისუფლებისათვის მებრძოლთ!

გაუმარჯოს მუსულმან ქართველებს!

სამაჰმადიანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის თავმჯდომარე **მემედბეგ სანჯაქ ბეგ ზადე აბაშიძე.**

კომიტეტის წევრები: ზია-ბეგ სანჯაქ ბეგ ზადე აბაშიძე, ახმედ ბეგ თულუმბაზადე ბეჟანიძე, კადირ ბეგ შერვაშიძე, ჰაიდარ ბეგ სანჯაქ ბეგ ზადე აბაშიძე, სულეიმან ეფენდი დიასამიძე, იუსუფ ეფენდი ქათამაძე, ქემალ-ნოღაიდელი, ხასია თხილაიშვილი.

მაჰმადიან ქართველთა ბათალიონის უფროსი **ასლან ბეგ აბაშიძე.**

## ჩვენი განცხადება

(ქართული სტუდია).

ამ დღეებში ხმები გავრცელდა, ვითომც ქართ. დრამატიული სტუდია დაშლილიყოს. ამ ცნობის უარყოფის დროს საზოგადოებას დავპირდით საქმის ვითარების გაცნობას. ობიექტურ მიზეზების გამო სტუდია იძულებული იყო თავისი სახე დაეკარგნა და სახელმწიფო თეატრში დასის სახელით გამოსულიყო. ახლა სტუდიამ პირობები შესცვალა; თავის შინაგან შემადგენლობაშიც ძირითადი რეორგანიზაცია მოახდინა, თავისი პირვანდელი სახე მიიღო და სრულიად შესწორებულის ანსამბლით სისტემატიურ სასტუდიო წარმოდგენებს გაჰმართავს არტისტულ საზოგადოებისა და ქართული თეატრის სცენებზე.

ამასთანავე ვაცხადებთ, რომ დაწყებულია მიღება სტუდიაში სრულიად ახალი ძალებისა. მსურველთ, განსაკუთრებით ინტელიგენტებს, შეუძლიანთ ჩაწერა ყოველ დღე დილის 11 საათიდან 1 საათ., ფრეილინის ქ., 11.

ადმინისტრატორი **მიხ. ხერხეულიძე**


### კერძო სამკურნალო

ექ. ა. დ. ალექსიძის

მომსვლელ ავადმყოფთათვის ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები:

**გ. მ. რეკვავა**—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9 11 ს.

**მ. მ. ტყემალაძე**—კანის და ვენერიულ. სიფილისის. 606—914 (... ლიხ) 11—12 ს.

**ი. ა. ლაზარევი**—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

**ნ. თ. ანდრონიკაშვილი**—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

**ა. დ. ალექსიძე**—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

**მ. ნ. იმხნელი**—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.

**ს. გ. ჯაფარიძე**—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

**ი. ა. ხათრიძე**—ბაქტერიოლოგი სამკურნალოს ლაბორატორიისა, სადაც შეიძლება ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვ.), ელექტრიზაცია, მასსაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა, № 6, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—83.

სამკურნალოს დირექტორი ექიმი **ა. დ. ალექსიძე.**

**ხამკურნალო კაბინეთი ექიმის**

### ალექსანდრე დავითის ძე ჯიჯილიანი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

**მარტის ... გაიხსნა ახალი**

### სამკურნალო

[illegible]

საავადმყოფოში იარსებებს **კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.**

მიხეილის პროსპექტის („კიროჩნი“ ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

**ვენერიულ** ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

**ღარიბები მიიღებიან კვირაობით,** 10—12-მდე უფასოდ.

### კ. ტარ. ლორთქიფანიძე

დაბრუნდა ბაქოდან

მიიღებს შინაგან სნეულების და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე. ნაბერეჟნის ქუჩა, სახლი 11. ტელეფონი 8—19.

(თ.—1918).

ექიმი

### ივ. ვ. დემურია

იღებს ავადმყოფებს 1—3 საათ. შინაგან და ბავშვების.

მიხეილის პროსპ. № 116. სასტუმროს „ნოეს“ პირდაპირ.

გაიხსნა

### თვალის სამკურნალო

(მუდმივი საწოლებით)

### ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისი ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო“-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.

ტელეფონი 5—97.

ექიმი

### გ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის“ ახლოს.

**დოქტორი მედიცინისა**

[illegible]

უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლღას ქ. № 3 სახლი მელიქ. აზარიანცის დილით 8—9-მდე. საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

**რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი დოქტორი მედიცინისა**

### ბ. მერაბოვისა

(რენტგენოლოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა).

მიიღებს **შინაგან და ნერვიულ** ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, **ჭლექის** ავადმყოფობა (ტუბერკულოზი), გულის, კუჭისა და ჭაჭებისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 ს.

**საწყლებს უფასოთ.**

### „სორაპანის“ გამოცემა

დაიბეჭდა და გასასყიდად გამოვიდა ახალი სტილით

### 1819 წლის

ა) **კედლის კალენდარი**

ბ) **სახალხო კალენდარი**

გ) **მოძრავი კალენდარი**

**შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.**

კალენდრებში უქმეები ახალ სტილზე დაგეგმულია საკათალიკოსო საბჭოს კონცელარიის დირექტორის დეკ. კალისტრატე ცინცაძის მიერ

**მისამართი:** თბილისი სტამბა „სორაპანი“ **მ. გაჩეჩილაძეს.**

3—3

### ყოფილი „საუფლისწულო მამულის“ ღვინოები

(Удѣльныя вина)

**გაიხსნა განყოფილება სახელმწიფო სარდაფისა**

**ტელეფ. № 888. სასახლის ქ. № 5. ტელეფ № 888.**

რესტორანების, სასტუმროების და მაღაზიების პატრონები და სხვა მოქალაქენი, გოლოვინის პროსპექტის და ერევნის მოედნის რაიონში მცხოვრებნი, რომელთაც სურთ შეიძინონ „საუფლისწულო“ მამულის ღვინო პრეისკურანტის ფასებში, კეთილ ინებებენ მიმართონ ზემოაღნიშნულ მისამართით.

12—2

### იყიდება 3000 მანეთად

### ენციკლოპედია ნინოშვილის

**19 კერძო წერილი**

მოიკითხეთ გაზეთ „საქართველოს“ რედაქციაში ევ. გეგეჭკორთან.

(3—2).


სტამბა „ცხოვრება“ ი. კალანდაძისა, გაზაფხულის შესახვევი № 1.